№ 2904
ხუთშაბათი,
8 სექტემბერი

ცნობის ფურცელი

№ 2904
ხუთშაბათი,
8 სექტემბერი

ფასი ცალის: წლიწადში—6მ. „თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით. პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კ.ის განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 37.

10 სექტემბერს, მეორმოცე დღეს გარდაცვალებისა მისის უდიდებულესობის პაჟთა კორპუსის, პაჟის

თავ. დავით როსტომის ძის წერეთლისა

გადახდილი იქნება წირვა და შემდეგ პანაშვიდი განსვენებულის საფლავზე დაბა საჩხერეში. (1—ნ.—1)

ნატალია თომას ასული ნანობაშვილისა და შვილები მისი ნინა, ანნა, ალექსანდრე, მიხეილ და ირაკლი და ძმები დიმიტრი და გიორგი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 6 სექტემბერს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის დაუვიწყარი მეუღლე, მეორეთა მამა, ხოლო დანარჩენების ძმა, რკინის გზის ეკკლესიის მღვდელი

მ. იროდიონ ნანობაშვილი.

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 საათზე, განსვენებულის სახლში: მიხეილის პროსპექტი № 199/ა. მიცვალებულის გამოსვენება დანიშნულია შაბათს, 10 სექტემბერს, დილის ცხრანახევარ საათზე დიდუბის ეკკლესიაში, სადაც მოხდება დაკრძალვა. (2—2)

კნეინა ნინო ზაალის ასული ანდრონიკაშვილისა და იმასი ვაჟიშვილი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 2 სექტემბერს ქალაქ ლიუცერნში გარდაიცვალა პირველის ძვირფასი ქმარი და მეორის საყვარელი მამა

თავ. ნიკოლოზ დავითის ძე ანდრონიკაშვილი,

გადაცვალებულის გვამის ქალ. ტფილისში მოსვენებისა და დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (1—1)

მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის ნამესტნიკის მიერ დამტკიცებული

დრამატიული კურსები

ტფილისი, მიხეილის პროსპ. № 123. ტელეფონი № 788.

კურსი 3 წლისაა. საგნები, რომლებსაც კურსებზე ასწავლიან: მკაფიო გამოთქმა და სასცენო ხელოვნება სომხურ, ქართულ და რუსულ ენებზე; გრიმი, ხატვა, ცეკვა, პლასტიკა, მიმიკა, თეატრის ისტორია და ხმის დაწყება.

მიღება 20 ავვისტოდან ყოველ დღე 12-დან 3-მდე და 5-დან 7 საათამდე, კურსების სადგომში.

პროგრამები იძლევა და იგზავნება უფასოდ. კურსებთან არსებობს სცენა.

(20—319—16) კურსების დამაარსებელი ს. მ. დოლუხანოვისა

იშვიათი ვაჭრობა

„ძმ. აკოფჯანოვების და სარქისიანცის"

ამხანაგობა

ამით აცნობებს ტფილისის პატივცემულ საზოგადოებას, რომ რადგან ბ-ნი სარქისიანი ამხანაგობიდან გამოვიდა და რადგან საქმის მოწესრიგებაა საჭირო, ამა თვის 11-დან დაინიშნა.

ვაჭრობა

მაღაზიაში, რომელიც მიხეილის ხიდზეა, ს. კალთუვის სახლში. ამხანაგობის მაღაზიასა და საწყობ. ში არის საქონელი.

100,000 მანეთისა.

მთელი საქონელი, მომზადებული საკუთარ ქარხანაში ოდესას, დაიდა ისე იაფად, რომ შესაძლებელი ხდება ამაზე ნაკლები ფასები დაინიშნოს, რასაც იძულ. გაყიდვის დროს ქალაქის ფირმები ნიშნავენ. საქონელი თავის თვისებით, სიკარგით და სიიაფით ყოველ კონკურენციის გარეშეა.

ამხანაგობა სთხოვს მუშტარს ნუ შეაწუხებს ნაყიდ საქონლის მეტის გადაკეთებით.

ფასები შეუვაჭრებლად.

ამხანაგობა სთხოვს პატივცემულ საზოგადოებას კეთილ ინებოს და თვითონ მობრძანდეს. (0—97)

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიამ პეტერბურგიდან მიიღო „რასსვეტ"-ის ნომრები, რომელშიაც დაბეჭდილია იაკობ გოგებაშვილის წერილი: „Безправіе Грузинскаго языка и самыхъ грузинъ въ учебной части на Кавказѣ".

ოთხი ნომერი ღირს ერთ აბაზად ტფილისშიაც და პროვინციაში გაგზავნილიც. (3—ნ.—1)

მასწავლებელ ქალთა საზოგადოების სკოლა

(მალაია ვოდოვოზნაია და ინჟინერნის ქუჩების კუთხეში)

მიიღებიან ყმაწვილები ქართულ და სომხურ განყოფილებებში, და სხვ კლასებში, მისაღებად გამოიცდებიან ყმაწვილები ყოველ დღე 12 საათიდან 2 საათამდე.

მოსამზადებელ კლასებში სწავლის ფასი თვეში 5 მან. დანარჩენებში ექვსი მანეთი. (5—1)

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა სახლი სვანიძისა № 15.

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათ., საღამოთი 6—7 ს.-მდე ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე), საკუთარი სახლი № 20, ტელეფონი № 791. (ჭ. 80—4)

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

ნიკოლოზის ქუჩისა (№ 82) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, [illegible] ქუჩის დასაწყისში, ავადმყოფებს იღებს: დილის 9—2-მდის და საღამოს 5—7-მდის. კვირა-უქმეებით 10—1-მდის.

ექიმი

ბ. ა. ბედალინი

მადათოვის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღის ეკკლესიის პირდაპირ.

ყოველ დღე იღებს სიფილისით, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ. დილით 8-დან 9 საათამდე საღამოთი—5-დან—8 საათამდე. (80—ნ.—33)

კბილის ექიმი

ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველდღე 9—2-მდე და 5—7 საათამდე, კვირაობით 12 საათამდე. გოლოვინის პროსპექტი № 12, სახლი მდივნისა. (30—3)

კბილის ექიმი

ი. ზ. კანდელაკი.

იღებს კბილის სნეულებით ავადმყოფებს, უკეთებს პლომბებს და ხსამს ახალ კბილებს ყოველგვარ მეთოდზე. დილის 9—2 და საღამოს 4—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 30. (30—24)

კბილის ექიმი

ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2-მდე და 5—7-მდე. კვირაობით მხოლოდ 12 საათამდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივანისა. (30—6)

ექიმი

დ. გედევანიშვილი.

დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და იღებს ყოველ დღე საღამოს 5-დან 7 საათამდე შინაგან და ნერვიან ავადმყოფებს და ექიმობს ელექტრონით.

ადრესი: კიროჩნი ქუჩა, საზაფხულო კრუჟოკის პირდაპირ, სახლი მარტინოვსკის. (თვ.—328—14).

ოფიციალი უარყოფა ტფილისის გუბერნატორის მიერ

გაზ. „ცნობის ფურცელში" 6 ენკენისთვის ნომერში დაიბეჭდა შენიშვნა, ვითომც ყარაიაზში მეთევზეებს გამოეთრიოთ 12 გვამი ძალადობის ნიშნებით. ამის გამო ადგილობრივმა პოლიციამ დაწვრილებით გამოიკვლია მთლად ადგილი მდინარის მტკვრისა ნავთლუხიდან ყარაიაზამდე და უფრო შორს კიდევ ელისავეტპოლის გუბერნიის საზღვრამდე და გამოჰკითხა წყლის ნაპირის მცხოვრებთა და მეთევზეებს.

ამ გამოძიებით დამტკიცდა, რომ არც მოტივტივე, არც ნაპირად გამორიყული გვამები ამ რაიონში ამ უკანასკნელ სამ კვირაში არ შეუნიშნავთ არც ადგილობრივ მცხოვრებლებს, არც პოლიციელებს, თუ დარაჯებს. ამ გვარად „ცნობის ფურცლის" გამოქვეყნებული ამბავი სრულიად უსაფუძვლო გამოდგა.

ახალ წესების მოლოდინში.

ცხოვრების საზოგადო ხასიათი და წესები ერთის მხრივ და უმაღლეს დაწესებულებათა მოწყობილობა მეორის მხრივ ყოველთვის მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული და მუდამ ერთმანეთის გავლენის ქვეშ იმყოფებიან. ერთის მხრივ თუ ცხოვრების ახალი სიო სცვლის სახელმწიფო დაწესებულებათა ორგანიზაციას, მეორის მხრივ თვით სახელმწიფო დაწესებულებანი სცვლიან ცხოვრების საერთო ხასიათს. ამიტომ ახალს ნიადაგზე დამყარებულს სახელმწიფო დაწესებულებას აუცილებლად თვით ცხოვრებაში ახალის წესების შეტანა უნდა მოჰყვეს.

ექვს ავვისტოს კანონით რუსეთის უმაღლესს დაწესებულებათა სიას მიემატა სახელმწიფო სათათბირო, რომელიც ძირიან-ფესვიანად განსხვავდება ყველა სხვა დღევანდლამდე არსებულ დაწესებულებათაგან. მართალია, სათათბირო პარლამენტი არ არის, რადგან სათათბიროს არც ერთი პარლამენტარული უფლება არა აქვს: არც კანონების გამოცემა, არც პოლიტიკის მიმართულება, არც საერთოდ უმაღლესი ხელმძღვანელობა სახელმწიფო გამგეობისა არა აქვს იმას ჩაბარებული, მაგრამ სათათბირო ხალხისაგან არჩეულ წარმომადგენლებისაგან შესდგება და იმისი დანიშნულება კანონ-პროექტებზე მსჯელობაა. ამ მხრივ რუსეთის სათათბირო ენათესავება ევროპიულ პარლამენტს და, პირიქით, ეუცხოვება რუსეთის ძველს ბიუროკრატიულს რეჟიმს, რომლისთვისაც სათათბირო სრულიად გარეშე სხეული.

დღევანდლამდე საერთო ხასიათი რუსეთის შინაურის ცხოვრებისა გამოიხატებოდა გარეგანის სიწყნარით და სიჩუმით. ხალხი, იმისი მრავალ გვარი საჭიროება და იმისი საკუთარი წარმოდგენები ამ საჭიროებათა შესახებ მარტოოდენ ობიექტი იყო კანონმდებლობისა, რომელიც ხალხის გარეშე ეძებდა შემოქმედებითს ძალას. საკანონმდებლო საქმის ამ ნიადაგზე დამყარებას ბუნებრივის აუცილებლობით მოსდევდა ის [illegible] უპირველესი მოვალეობა იყო სიჩუმე და ყურმოჭრილობა. ან-კი როგორ შეიძლებოდა, ობიექტად მიჩნეულ ხალხისთვის მიეცათ უფლება თავისუფალ თვით-მოქმედებისა და აზროვნებისა? ობიექტის დამახასიათებელი თვისება სწორედ ის არის, რომ იმას მხოლოდ მიმღეობითი ხასიათი აქვს და აი ეს მიმღეობითი თვისება შეადგენდა დღევანდლამდე რუსეთის შინაურ ცხოვრების გარეგანს ზეწარს: ხალხს აკრძალული ჰქონდა თავისუფალი მსჯელობა, თავისუფალი წერა, თავისუფალ კრებების გამართვა და სხვა, რადგან თავისუფლება ყველგან თვით-მოქმედების ფორმაა და ხალხს-კი, როგორც ობიექტს, სწორედ ეს თვით-მოქმედება არ უნდა ჰქონოდა.

ისტორიულმა მიმდინარეობამ დაუმტკიცა მთავრობას, რომ კანონმდებლობისთვის გარეშე ხალხისა ახლად შემოქმედებითის ძალის პოვნა არ იქნება, და მთავრობამ გადასწყვიტა შინაურ ცხოვრების მოსაწყობად ხალხის წარმომადგენლების მსჯელობას დაუგდოს ხოლმე ყური, მოისმინოს ხალხის აზრი და ფიქრი. ამგვარად მომწიფდა აზრი სახელმწიფო სათათბიროს დაწესებისა, რომლის დანიშნულებაც ის არის, რომ მთავრობამ თვით ხალხისაგან შეიტყოს იმისი საჭიროებანი.

როგორც თვით უმაღლესს მანიფესტშია ნათქვამი, სახელმწიფო სათათბიროს გაუმჯობესება ესაჭიროება და ეს საჭიროება ყველასათვის ცხადზე-უცხადესი შეიქნება, როცა სათათბირო გაიხსნება. მაგრამ ეხლა ჩვენ სახელმწიფო სათათბირო ამ მხრივ არ გვაინტერესებს; თუნდაც იგი არავითარ განვითარებას და გაუმჯობესობას არა ჰსაჭიროებდეს, მაინც ეხლავე ცხადია, რომ სათათბირო სრულიად ვერ აარულებს თავის დანიშნულებას, თუ ეხლავე შესაფერი ცვლილება არ იქმნა შეტანილი რუსეთის შინაურ ცხოვრების საერთო ხასიათში.

სახელმწიფო სათათბირო, კანონის აზრით, ის დაწესებულებაა, რომელმაც ხალხის გრძნობა და აზრი უნდა გამოხატოს. ამიტომ ცხადია, ხალხს ამის შემდეგ აღარ უნდა მოეთხოვებოდეს კულანდებური სიჩუმე ხალხმა თუ წინანდელივით ღრმად ჩაიმარხა გულში თავისი ფიქრები, უეჭველია, სახელმწიფო სათათბიროც ვერ გახდება ხალხის ხმის ორგანოდ და, მაშასადამე, ვერ შეასრულებს მთავრობისაგან მიჩნეულს დანიშნულებას. სახელმწიფო სათათბიროს ნაყოფიერება დამოკიდებულია იმაზედ, თუ რამდენის გულ-ახდილობით და სამართლით გამოსთქვამენ სათათბიროს წევრები ხალხის მისწრაფებებს. ვიდრე ძველი წესი არ დაირღვევა და სიტყვის, წერის თავისუფლება არ იქნება განხორციელებული, შეუძლებელია ხალხისაგან სათათბიროში გასაგზავნად არჩეულმა წარმომადგენელმა იცოდეს ხალხის სურვილები და მისი გამომთქმელი იყოს, ცხადია აგრეთვე, რომ თვით ამომრჩევლებს არ ეცოდინებათ, ვინ როგორის აზროვნებისაა მათ შორის, ვინ უფრო უკეთესი გამომხატავი იქნება მათის აზრებისა, და ამიტომ არჩევნებიც შემთხვევითი იქნება. შემთხვევითის წევრებისაგან შემდგარი სახელმწიფო სრულიად ვერ შეასრულებს კანონით მისდამი მიჩნეულს დანიშნულებას, ვერასოდეს ვერ გამოჰხატავს ხალხის ნამდვილს საჭიროებას და აზრს.

როგორც ვხედავთ, სიტყვის, წერის და კრების თავისუფლება ბუნებრივი შედეგი უნდა იყოს ექვს აგვისტოს კანონისა. სახელმწიფო სათათბიროს დაწესებას ლოღიკურის აუცილებლობით უნდა მოჰყვეს სიტყვის, წერის და კრების სრული თავისუფლება, მაგრამ რუსეთის ბიუროკრატიული სფერები ისე ჩვეულნი არიან ხალხისადმი უნდობლობას, რომ ამ თავისუფლებათა გამოცხადებისთვის შემდგარი ბიუროკრატიული კომისიები ღრმა საკონებელში არიან ჩავარდნილი და საქმეს აჭიანურებენ, ვერც ძველს წესებზედ აუღიათ ხელი და ვერც ახალის შემოღება გაუბედნიათ. როგორც ვიცით, კობეკოს კომისია კაი ხანია მუშაობს პრესის მდგომარეობის შესამსუბუქებლად, მაგრამ დღევანდლამდე ამ კომისიას რეალურად არაფერი არ გაუკეთებია, რადგან ერთის მხრივ პრესის თავისუფლების საჭიროებას ჰხედავს და მეორეს მხრივ კი ძველი ვერ უარუყვია. ამ გვარსავე მდგომარეობაშია კრებების საქმე: შინაგან საქმეთა სამინისტროს საპოლიციო დეპარტამენტში უკვე შეუდგენიათ წესები კრებების შესახებ, მაგრამ ვინ იცის, როდის [illegible]ვენ და დააკანონებენ მათს თავისუფლებას. ამ ბიუროკრატიულ გაუბედავ მუშაობაში გადის ხანი და ხალხი კი, რომლისთვისაც თავისუფლება სანეტარო მისწრაფებად გადაიქცა, დღითი დღე უფრო მეტის ენერგიით მიიწევს ახალის ცხოვრებისაკენ.

როდის გამოცხადდება სიტყვის, წერის და კრებების თავისუფლება, რა თქმა უნდა, ძნელი გამოსაცნობია, მაგრამ მალე რომ უნდა გამოცხადდეს—ეს კი უეჭველია: ამას მოითხოვს როგორც ეხლანდელი განმათავისუფლებელი მოძრაობა, აგრეთვე სახელმწიფო სათათბიროს დაწესება. **გ. რ.**

ორიოდე სიტყვა „ნოვ. ობოზრ."-ს

„ნოვ. ობოზრ."-ს არ ეჭაშნიკა ჩვენ მიერ ფრთხილად წარმოთქმული საყვედური იმის გამო, რომ საჭირო მიუდგომლობას ვერ იჩენს სომეხ-თათართა შეტაკების ამბებში ვერც ეს გაზეთი და ვერც სხვა გაზეთები, რომელნიც-კი თათრებისა და სომხების ხელშია.

ჩვენი მკითხველები უეჭველად გაიღიმებენ, როცა გაიგებენ, რომ „ნოვ. ობოზ." საბუთსა გვთხოვს: „განა უსაბუთოდ ასეთის მძიმე ბრალდების წარმოთქმა შეიძლება"-ო, ცხარობს გაზეთი. მაგრამ, ტყუილია ეს გაცხარებაც, ტყუილია ეს ფარისევლური თავის-მოკატუნებაც. განა საბუთის მოყვანა საჭირო იყო, როცა ამ გაზეთის ყოველი ნომერი ტენდენციურის ცნობებითა და წერილებით არის ავსილი სომეხ-თათართა საქმეების გამო?!

პირველ დღიდანვე, რაც ეს საშინელი სისხლისღვრა დაიწყო ჩვენს უბედურს ქვეყანაში, ადგილობრივი რუსული გაზეთები (ტფილისისა და ბაქოსა) ორ ბანაკად გაიყო; ერთმა სომხების მხარე დაიჭირა (მათ შორის „ნოვ. ობოზრ."-მ), მეორემ—თათრებისა და შეიქნა განგაში. გაზეთები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო მარჯვედ და მოხერხებულად გაამტყუნებს მათ მიერ ათვალწუნებულ ეროვნებას, ვინ უფრო სასტიკ ბრალს დასდებს. ეს გაზეთები არაფერს არ ერიდებოდნენ: მაშინ როდესაც თათრების გაზეთები ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ მთელი არეულობა კავკასიაში სომეხ აგიტატორებისა და რევოლიუციონერების ბრალია, სომხის გაზეთები ჰყვიროდნენ, თოფჩიბაშევსა, აღაევსა და მთლად თათრის ინტელიგენციას საიდუმლო კავშირი აქვთ სულთანთანაო და ამიტომ ესენი რუსეთის მოღალატენი არიანო! „ნოვ. ობოზრ."-ს თითქმის ყოველს ნომერში იპოვნით ასეთ დაბეზღების ნიმუშებს: მაჰმადიანები ოსმალეთის წაქეზებით მოქმედებენ, მაჰმადიანებს განზრახვა აქვთ, რუსეთს ომი გამოუცხადონ და ამიტომ ესხმიან თავს პირველად სომხებს, მაჰმადიანები არც ჰმალავენ, რომ ყველა ქრისტიანთა ამოჟლეტა ჰსურთო და სხვა. ჩვენ გვეზიზღება ამაების ამოწერა, თორემ ათასი საბუთი შეგვეძლოა მოგვეყვანოთ იმისა, რომ „ნოვ. ობოზრ."-ს ცდა იყო: 1) მთელი ბრალი თათრებისთვის მოეხვია კისერზე, 2) სომხები ყველაფერში გაემართლებია და სომხის ინტელიგენცია უცოდველ ჰპაპად დაესახა, 3) რაც შეიძლება გაეზვიადებია თათრებისაგან მოსალოდნელი საფრთხე და ამრიგად მთავრობისათვის ჩაეგონებია თათრების წინააღმდეგ უსასტიკეს ზომების მიღების საჭიროება.

„ნოვ. ობოზრ.", უეჭველია, გაწიწმატდება, როცა ზემოაღნიშნულ ბრალდებას წაიკითხავს, მაგრამ ფაქტს ვერსაით ვერ წაუვა: ადგილობრივ რუსულ გაზეთების ქორებმა, ტენდენციურმა წერილებმა და ყვირილმა უფრო გაამწვავეს სომეხ-თათართა მტრული ურთიერთობა.

და განა მარტო „სლოვო" და ჩვენი გაზეთია ამ აზრის? ვარწმუნებთ „ნ-ვ. ობოზრ."-ს, რომ ბევრი მიუდგომელი და გულწრფელი ადამიანი კავკასიის ყველა ერთა ასე ფიქრობს. ამჟამად გაზეთს მოვაგონებთ მხოლოდ ერთ მაგალითს. მაისში განჯიდან ჩამოიჭრა მთელი დეპუტაცია თათრებისა და სომხებისაგან შემდგარი, რომელმაც ჩამოიტანა წერილი 528 კაცისაგან ხელმოწერილი; დეპუტაცია ჩვენს რედაქციაშიაც იყო და გვთხოვა დაგვებეჭდა მათი საერთო წერილი, რომელიც შემდეგ პროტესტს აცხადებდა: „6—9 თებერვალს, ბაქოში რომ საშინელი ამბები ხდებოდა, როგორც კავკასიის, ისე რუსეთის გაზეთებში იბეჭდებოდა დეპეშები და ამბები მეტად ტენდენციურის ხასიათისა; იბეჭდებოდა იმ მიზნით, რომ გაემწვავებიათ მდგომარეობა, გამოეწვიათ [illegible] ნენ ერთმანეთზე. ვუცხადებთ-რა ზიზღს ტენდენციურ ხმების გამავრცელებელთ" და სხვა... დეპუტატებმა პირადათ ბევრი მაგალითი დაგვისახელეს და გვითხრეს: ყოვლად შეუძლებელია გულწრფელი მორიგება, რადგან დღე არ გადის ისე, რომ ან ტფილისის ან ბაქოს რომელიმე გაზეთმა ფრიად ამაღელვებელი რამ არ დაჰბეჭდოს ამა თუ იმ მეზობელ ერის წინააღმდეგო...

ჩვენი გაზეთი ყოველთვის იმას ქადაგებდა, რომ კავკასიის მომავალი ხელთ უპყრავთ თვით კავკასიის მკვიდრ ერებს; რომ ამათ სრულსა და გულწრფელ შეთანხმება-ერთობისაგანაა დამოკიდებული ჩვენის ქვეყნის განვითარება და კეთილდღეობა. ამასვე ვფიქრობთ ჩვენ დღესაც და სწორედ ამიტომაც გვიკლავს გულს სომხებისა და თათრების დღევანდელი დატაკება, რომელმაც ძალიან გააფუჭა ჩვენი საერობო საქმე; სწორედ ამიტომ გვიკლავს გულს, რომ ამ ერთა წინამძღოლებმა ასეთნაირად დაიბრმავეს თვალები, ასე ბეჯითად უთხრიან ერთმანეთს სამარეს...

ახლა „ნოვ. ობოზრ." წინადადებას იძლევა, მოხდეს კავკასიის ყველა ერთა წარმომადგენლების კრება, რომელმაც უნდა ითავოს გადამტერებულ ერების შერიგებაო. ვკითხოთ ერთი იმ გაზეთს: როგორ უნდა მიიღონ ეს წინადადება თუნდ თათრებმა, რომლებსაც გაზეთი ოსმალთა ავანგარდობას სწამებს, ქრისტიანთა შეურიგებელ მტრებად სახავს და სხვა?! უეჭველია, თათრები ფარისევლობას დაინახავენ ამ წინადადებაში და მომავალ „საერთაშორისო კრებასაც" იგივე ტრაგი-კომიკური ხასიათი ექნება, როგორიც სომეხ-თათართა ეხლანდელ შემარიგებელ კომიტეტებს აქვთ... დიახ, შერიგება უთუოდ საჭიროა, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი ქვეყანა სრულიად გაველურდება; მაგრამ ამისთვის უპირველესად ყოვლისა საჭიროა, სომხისა და თათრის ინტელიგენციამ და მწერლობამ რადიკალურად შესცვალონ თავისი პოლიტიკა, უარჰყონ ერთმანეთის მტყუნება, ერთმანეთის წაქეზება ხმამაღლა და პირდაპირ აღიარონ ურთიერთი შეცოდება და შეცდომები. შესძლებს თუ არა ამას სომეხ-თათართა ბურჟუაზია და მწერლობა? ვეჭვობთ, რომ შესძლოს და ამიტომ დარწმუნებით ვიმეორებთ: შორს აღარ არის ის დროც, როცა მთელის კავკასიის დემოკრატია, კავ-

კასიის ყველა ერთა მშრომელი ელემენტები სამარცხვინო ბოძზე მიაკრავენ იმ დღევანდელ წინამძღოლთა და მეთაურთ, რომელთა წინდაუხედაობამ დღევანდელ გამწვავებამდე მიიყვანა საქმე და რომელთა დღევანდელმა საქციელმა ხელი შეუწყო მეზობელ ერთა ურთიერთობის გაფუჭებას. გ.

ახალი ამბავი

✦ **ნამესტნიკის ბრძანებით** მანგლისიდან ერევნის პოლკის ერთი ბატალიონი ტფილისს ჩამოვა. („კავ.“).

✦ როგორც თანდათან ირკვევა, **სახაზინო კანტორის ხაზინადარს არდაზიანს** 1885 წლიდან დაწყებული ყალბის წიგნებითა და ქაღალდებით შეცდომაში შეჰყავდა თურმე სასულიერო მთავრობა, ვითომ ფულს ბანკში ინახავდა. ნამდვილად კი ფული შინ ჰქონია და უხმარია თავის სასარგებლოდ. სახელმწიფო ბანკის გამგეობამ აცნობა კანტორას, რომ ბანკმა 1884 წლიდან არდაზიანთან ყოველივე ანგარიში გაასწორა და ერთი კაპეიკიც აღარ მიუღია შესანახადაო. ყალბი წიგნებით ბანკში შენახული ყოფილა 90,000 მანეთამდე. 6 სექტემბრამდე წიგნების გამორკვევა-გაჩხრეკით აღმოჩნდა, რომ არდაზიანს 162,000 მან. გაუფლანგავს. კანტორაში აღმოჩნდა ქაღალდები, ვითომ ბანკში ინახებოდეს 45,000 მან. კანტორამ გუშინ, წინ 6 სექტემბერს, დაიბარა ბანკის ერთი მოხელე. აღმოჩნდა, რომ ეს ქაღალდიც ყალბი ყოფილა. სულ არდაზიანს გაუფლანგავს 207,000 მან. რევიზია ყოველ თვეში იყო, მაგრამ არდაზიანი ისე ახერხებდა, რომ ეჭვი არავის შეჰპარვია.

✦ ბაქოში **ახალი ჯარი ჩასულა.** ადგილობრივ გაზეთების სიტყვით, ჩასულა ორი ქვეითა პოლკი, ერთი ყაზახთა პოლკი და არტილერია, სულ 10,000 კაცი.

✦ გორის მაზრის სოფელ ახალ-დაბის სახელმწიფო **გლეხებს უთხოვნიათ** ნამესტნიკისთვის, მიეცეთ ნადელებად სახელმწიფო ადგილები, ყოველივე გარდასახადი მიწების რაოდენობით გაეწეროს და იმ ადგილებში, რომლებზედაც რკინის გზა გაიყვანა მთავრობამ, მიეცეთ ადგილის ფასი.

✦ **ამიერ-კავკასიის რკინის გზის მოგებამ ძალიან იკლო.** შარშან პირველ ექვს თვეს რკინის გზის წმინდა მოგება იყო თითქმის რვა მილიონი მანეთი, წელს-კი ოთხ მილიონ ნახევარი ძლივს გამოვიდა.

✦ **ეგზარხოსის კანცელარიის მმართველი ტროიცკი,** გაზეთების სიტყვით, გადაჰყავთ ნიჟნი-ნოვგოროდის ეპარქიაში სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად.

✦ მთავრობამ გადასწყვიტა გადაათვალიეროს ის დებულება, რომელიც შეეხება **ამიერ-კავკასიის მაჰმადიანთა სასულიერო საქმეების მართვა-გამგეობას.** სათანადო მთავრობამ უკვე შეუდგა ამ საგნის განხილვას. ამავე საქმისთვის შედგა კომისია მაჰმადიანთა სასულიერო პირებისაგან. კომისიაში არიან ამიერ-კავკასიის შეიხ-ულ-ისლამი, მუფტი, ტფილის-ქუთაისის მეჯლისის წევრნი და სხვანი.

✦ ახალციხის მაზრის ადიგენის სოფლის საზოგადოებას აღმოუჩენია თავის შორის **არა კეთილსაიმედო პირები,** გადაუცია ადმინისტრაციისთვის და უთხოვნია მათი უცხო ქვეყნებში გადასახლება.

✦ როგორც გავიგეთ, თელავის მაზრის სოფელ რუისპირში პოლიციას **მოუკლავს ყაჩაღი ზესო გოგელიანი,** რომელსაც, ადმინისტრაციის აზრით, სხვა და სხვა ბოროტ-მოქმედების ჩადენა ჰბრალდებოდა და აქამდის ემალებოდა პოლიციას.

✦ გორის მაზრის სოფლებს ქვიშითის და ბერისაყდრის **გლეხები ამ რამდენიმე წლის წინად მიუწერიათ** შორაპნის მაზრის სხვა და სხვა სოფლებზე. აღნიშნული გლეხები დღემდე დროებით მცხოვრებად და მოიჯარადრეებად ითვლებიან ამ სოფლებში. ეხლახან მათ შუამდგომლობა აღუძრავთ, რომ დაუბრუნდეთ სასოფლო-სამეურნეო თანხის შესავსებად გორის ხაზინაში შეტანილი ფული, რომელიც სხვა და სხვა საჭიროების დასაკმაყოფილებლად ნდომებიათ. მთავრობას განუცხადებია, ამ საკითხის გადაწყვეტა სამინისტროზეა დამოკიდებულიო და უნდა მოიცადოთ, სანამ პეტერბურგიდან პასუხი მოვაო.

✦ 5 სექტემბერს **ყვირილაში მოუკლავთ** ადგილობრივ დეპოს უფროსი ბლოკი. მკვლელი დამალულა. (ნ. ო.).

✦ კავკასიის უმაღლეს მთავრობას ოთხი ათასი მანეთი გადაუდვია **ბაქო-შუშაში დაზარალებულთა დასახმარებლად,** სამასი მანეთი გაეგზავნა ბაქოს გენერალ-გუბერნატორს, ათასი მანეთი შუშაში მყოფ გენერალ თაყაიშვილს.

✦ სექტემბრისათვის ტფ. სამოსამართლო პალატის სესსია ბაქოში განიხილავს **პოლიტიკურ საქმეს.** ბრალი ედება: ალექსანდრე ობოლაძეს, ე. კრივოშეევისას და მიხეილ ბრეგვაძეს.

✦ **ახირებული პრეტენზია**“ ასეთი უნდა! ცნობილ ვოსტორგოვს ქაღალდი გამოუგზავნია კავკასიაში მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებისთვის და მოუწერია, ამ საზოგადოების სკოლების ინსპექტორის თანამდებობას ვასრულებდი და რამდენისამე წლის ჯამაგირი მომეცითო. წელიწადში ეს მოძღვარი 600 მანეთს თხოულობს თურმე. საზოგადოების საბჭოს განუხილავს ეს ქაღალდი და უარი შეუთვლია, რადგან ვოსტორგოვი მხოლოდ ქაღალდზე ითვლებოდა ინსპექტორად, საქმით კი არასოდეს არაფერი არ გაუკეთებია.

✦ ბორჩალოს მაზრის **მაჰმადიანთა რამდენიმე სოფელს** შუამდგომლობა აღუძრავს ნამესტნიკის წინაშე, რომ მათ ყარსის ოლქში უფასოდ დაურიგდეთ სახელმწიფო ადგილები.

✦ ქალაქის გამგეობამ დეპეშით სთხოვა ძმ. ნობელის კანტორას ბაქოში, მისცეს **ქალაქს ნავთი** როგორც ქუჩების გასანათებლად, ისე კერძო მცხოვრებთათვის.

✦ **განჯის გუბერნიაში,** როგორც სატატრო ქალაქის გაზეთები გადმოგვცემენ, არსდება მუდმივი თანამდებობა სამხედრო გუბერნატორისა.

✦ 5 სექტემბერს, ღამით, ამიერ-კავკასიის რკინის გზის მე-143 ვერსზე, ქუთაისის მახლობლად, ვიღაცეები დაეცნენ ლიანდაგის დარაჯის სადგომს. დარაჯი თევდორე ლომსაძე **მოჰკლეს** და ცეცხლი წაუკიდეს. წაიღეს 143 მანეთი, რევოლვერი და თოფი.

✦ გორის მაზრის სოფელ ნიჩბისში 6 სექტემბერს ღამე **გადამწვარა თავ. დ. ციციშვილის სახლი.**

✦ ტფ. სამოსამართლო პალატამ განსახილველად მიიღო საქმე ყაზახის მაზრის უფროსის თანაშემწის თავ. ილია დ. ჯავახიშვილისა და ამავე მაზრის ბოქაულის კონ. ბარნოვისა, რომელთაც კაცის ცემა ჰბრალდებათ. ვიღაცას ამ ორის წლის წინად მოუკლავს დარაჯი გიგოლაშვილი. ამ მკვლელობაში ჯავახიშვილს და ბარნოვს ეჭვი მიუტანიათ ჰუსეინ ალა ბაშა-ოღლიზე. ბრალდებული არ გამოტეხილა, რის გამოც ბრალდებულთა განკარგულებით ჰუსეინისთვის უცემიათ მათრახებით.

✦ როგორც გორის მაზრის სოფელ ფლავიდან გვატყობინებენ, ამას წინად იქაურ მცხოვრების ჭონქადიშვილის სახლში მისულა საპოლიციო დარაჯი. ადგილობრივ მცხოვრებთაგან რამდენიმე კაცს დარაჯისათვის იარაღი მოუთხოვნია. დარაჯი წინააღმდეგი გამხდარა, მომხდარა შეტაკება და დარაჯს რამდენიმე კაცი დაუჭრია.

✦ ამას წინად ბორჩალოს მაზრის სოფელ ოსმაშენის მაჰმადიანებს უთხოვნიათ მთავრობისთვის, რომ იმათ სოფელში მიწის მზომელი გაიგზავნოს სახნავ-სათესი ადგილების დასამიჯნავად, რადგან საზღვრების უცოდინარობით ხშირად უსიამოვნება მოსდით თურმე ერთმანეთში.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობამ 9 ოქტომბრამდე საცდელად შემოიღო გამგეობის კანცელარიაში სამუშაო დროდ 5 საათი. სამსახური გამგეობაში იწყება დილის 9½ საათზე და თავდება ნაშუადღევის ორის ნახევარზე.

✦ დაბა გუდაუთის სავაჭრო დეპუტატად ნამესტნიკმა დაამტკიცა ბ-ნი გუდო ჯოლოგუა.

✦ ტფ. გუბერნატორმა განკარგულება მოახ[illegible] სიღნაღის მამასახლისმა სისრულეში არ მოიყვანოს ადგილობრივ ქალაქის რწმუნებულთა 2 აგვისტოს დადგენილება. ამ დადგენილებით ქალაქის მამასახლისს დაენიშნა წელიწადში 1000 მანეთი, იმის თანაშემწეს—600 მ. ამავე დადგენილებით მამასახლისად არჩეულ იქმნა გ. ი. ენიკოლოფოვი.

✦ ახალქალაქის მაზრის ადმინისტრაციას შუამდგომლობა აღუძრავს იმის შესახებ, რომ მაზრის ერთ სოფელს ეპატიოს სამხედრო გადასახადი, რომელსაც ისინი სამხედრო სამსახურში გაწვევის მაგიერ იხდიან. რადგან აღნიშნული სოფელი მოუსავლობით ძლიერ დაზარალებულა, ადმინისტრაცია სთხოვს მთავრობას აგრეთვე ეპატიოს დარჩენილი ნედოიმკებიც.

✦ ახალქალაქის უფროსს შუამდგომლობა აღუძრავს, რომ ამ მაზრის სოფელ ფოკაში მცხოვრებ გლეხებს იჯარით სახელმწიფო ადგილები მიეცეთ. აგრეთვე უფროსი სთხოვს მთავრობას, დაუკლოს აღნიშნულ გლეხებს საიჯარო ფასები იმ ადგილებზე, რომელიც ეხლა მათ უჭირავთ.

✦ ამ ერთი თვის წინად გორში მცხოვრებ ნიკოლოზ მახარაშვილს ცეცხლი გასჩენია და მთელი წლის სარჩო დასწვია. ათას მანეთზე მეტი ზარალი მოსვლია. გორის მაზრის უფროსს შუამდგომლობა აღუძრავს საგუბერნიო მთავრობის წინაშე, რომ აღნიშნულ მახარაშვილს რაიმე ერთდროული შემწეობა აღმოუჩინოს.

✦ 8 სექტემბერს, ერევნის მოედანზე უცნობმა გულში დანით დასჭრა ივანე მიროშნიკოვი, რომელიც მალე გარდაიცვალა. მკვლელი დაიმალა.

ოფიციალური ცნობა

29 აგვისტოს შეტაკების დროს მოკლულთა და დაჭრილთა შესახებ

(„კავ.“ № 228)

შეტაკება მოხდა 29 აგვისტოს, 9—11 საათზე. ადგილობრივ მოკლულ იქმნა 23 კაცი, გზაში საავადმყოფომდე გარდაიცვალა 3, საავადმყოფოში გარდაიცვალა (29 აგვისტოდან 5 სექტემბრამდე)—10 კაცი. ამ რიგად სულ მოკლულ იქნა და ჭრილობისაგან გარდაიცვალა 36 კაცი. ამათგან ვერ გამოარკვიეს ორი კაცის ვინაობა. ოთხ სექტემბრამდე მოკლულთა ყველა გვამი დაასაფლავეს. უმრავლესობა თვით პოლიციამ დაასაფლავა, მხოლოდ მცირე ნაწილი გადასცეს დედ-მამას და ნათესავებს, მოკლულებიდან 17 კაცი ქართველია.

მოკლულთა გვარები:

ისინი, რომელნიც ნათესავებს გადასცეს: ევგენი კოირანსკი, ალექსანდრა ზებუტოვიჩი, ალექსი თაქთაქიშვილი, ივანე გელაძე, მიხეილ დიპარტინი, სარქის ისაევი, ბარბარე გაჩეთანოვი, ანტონ ტეშელაშვილი, თამარ მახნაზაროვი, ევა ფისკოვი, დორა კუბლანოვი, სიმონ დურგლიანცი, ანტონ სოლოგრეევსკი, სანდრო ბიბილაშვილი.

პოლიციამ დაასაფლავა სახელმწიფო სასაფლაოზე ნავთლუღში: ისაი კოკაიშვილი, ვასო ნიკვაძე, ნიკოლოზ შელიძე, არშაკ ავეტისიანცი, კონსტანტინე ტყეზავა, ხახნელიძე (სახელი ვერ გაიგეს), არისტაკ ერზიკიანცი, ივანე მირზოევი, ალექსანდრე ყორღანოვი, უცნობი, რომელიც მოკლული მიიტანეს საავადმყოფოში, პავლე თორმაძე, ხარიტონ დარახველიძე, დარჩო ზურიაშვილი, ნიკოლოზ ვასილიევი, ოჰანეზ აკოფოვი, პეტრე კონცევიჩი, ერვანდ ბაიანდუროვი და სოლომონ ენუქიძე, ისაკ დობჟანიძე, უცნობი და პანტელეიმონ თადაკეძე.

ამათ გარდა საავადმყოფოში დაჭრილები მოიყვანეს:

გიტტა ქრისტ. კოკოშიძე, გრიგოლ ალექ. იტრიაშვილი, ალექსანდრე მეტ. ამირეჯიბი, სტეფანე ზურ. ჯავახიშვილი, მიხეილ აბრ. ეგაშვილი, პავლე გრიგ. ჯავახიშვილი, კონსტანტინე დავითის ძე კარიჯიძე, ოვაკიმ პარტ. ტერ-გრიგორიოვი, მიხეილ დარ. გოგავა, სერგეი გაბრ. ეგელევი, ილიკო დავ. ხვთისო, ზახარ მეტ. მოსოვი, დუდე კრმ. ტერეგე, ქრისტეფორე კონსტ. ქავზაშვილი, ივანე შიოს ძე უგურული, პოლიკარპე ლუკ. ჯოხაძე, არშანაკ მელ. მერაქსიანი, ვასილ პეტრეს ძე ხარაძე, ავეტ ფილ. გალუსტოვი, ალექსანდრე არტ. რევაზოვი, გიორგი ალექს. დეკიშვილი, აკოფ გრიგ. მატკანიანი, ვლადიმერ ნიკ. მახარაძოვი, ვასილ დარ. გურგენიძე, დავით დავ. ბერდიკაძე, ბალტან სოლ. მელიქერიანი, ანდრია გაბრ. გოდერძიანი და ანნა მიხ. მირიმანოვი.

ამათ გარდა მიხეილის საავადმყოფოში დადიოდნენ სამკურნალოდ შემდეგი დაჭრილები:

სერგეი სურგულაძე, სტეფანე ჭარკაძე, სიმონ კლდიაშვილი, პავლე ტოთაძე, კონსტანტინე საგარაშვილი, ვანო გურგენიძე, გიორგი ხელთუშვილი, მიხეილ ვლადიმიროვი, არამ ტერ-სიმონიანცი, მიხეილ ლაშხი, ვალენტინ ჩერნიევი, ანდრია კუდიკოვი, აკოფ ოსრაცკიანცი, გიორგი ხეჩოშვილი, არსენ პოღოსიანცი, სანდრო მიკირტუმოვი, ვლადიმერ ტოროტაძე, გრიგორ მერბიკო, ეპიფანე გვენცაძე, სიმონ გოსიაშვილი, მიხეილ ქარჩავაძე და ილია ტოგავე.

ქუთაისის ახალი ამბები

✦ 5 სექტემბრისათვის დანიშნული იყო ქალაქის საბჭოს კრება, რომელსაც 31 საქმე ჰქონდა განსახილველი. ხმოსნებმა საკმაოდ მოიყარეს თავი. საბჭომ მოისმინა ხმოსნის პ. მოსეშვილის განცხადება ტფილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში მომხდარ ამბის შესახებ და იმის წინადადების თანახმად ფეხზე წამოდგომით პატივი სცა დახოცილთა ხსოვნას და დაადგინა, ამ სამწუხარო ინციდენტის გამო კრება დახურულიყო. კრება 9 სექტემბრისათვის გადაიდო.

✦ ქალაქის მოურავს დ. ი. ლორთქიფანიძეს დეპეშა მოუვიდა მოსკოვის ბიუროსაგან, რომელიც იწვევს საქალაქო და საერობო წარმომადგენელთა კრებაზე დასასწრებლად. ეს კრება უნდა მოხდეს მოსკოვში 12 სექტემბერს. ქალაქის საბჭომ კერძო თათბირზე საჭიროდ სცნო წარმომადგენლის გაგზავნა და დაადგინა გაიგზავნოს ქალაქის მოურავი, რომელიც 6 სექტემბერს კიდეც გაემგზავრება ზღვით.

✦ ქუთაისში ახლად ჩამოყვანილი ჯარი დროებით დაბინავდა ქალაქის სალორიის ეგრაკში, რიონსა და ტყიბულის რკინის

ფელეტონი

როგორი უნდა იყოს მიწის მფლობელობა.

გლეხთა სოციალურ მდგომარეობის შესახებ ბევრი რამ დაწერილა. ამ ნაწერებში ბურჟუაზიულ მიმართულების ნაწერებს განსაზღვრული ბეჭედი აზის. ბურჟუაზიული მწერლები ყოველთვის სიმპატიას უცხადებენ მესაკუთრე გლეხებს, სცდილობენ იმის დამტკიცებას, რომ სახელმწიფო ვალდებულია მათ ყოველთვის დახმარება აღმოუჩინოს, რადგან მესაკუთრე—გლეხობა (განსაკუთრებით საშუალო შეძლების გლეხობა) სახელმწიფოში კონსერვატიულ ელემენტს შეადგენს და არსებულ წეს-წყობილების მცველად უნდა ჩაითვალოს. მათის აზრით, გლეხობა ყოველთვის იყო, არის და იქნება სოციალიზმის წინააღმდეგი. იგი ეტრფიალება კერძო საკუთრებას, სცდილობს მის გაფართოებას და ხელში შერჩენას და კომუნისტურ წყობილების დამყარებისა ყოველთვის შეურიგებელი მტერი იქნებაო.

რაც შეეხება გლეხობის ფანატიკურ „ტრფიალებას“ კერძო საკუთრებისადმი, აქ ბურჟუაზიულ ეკონომისტების ნათქვამს ზოგიერთმა სოციალისტმა კვერი დაუკრა და აცხადებენ, გლეხს „ანტიკოლექტივისტური კეფა“ აქვს და ამიტომ დროის დაკარგვაა გლეხებს შორის სოციალისტურ პროპაგანდის გაწევაო.

მაგრამ ამ აზრს ცხოვრებისა და თვით გლეხთა მოქმედების ზეგავლენის გამო გასავალი დაეკარგა და ამ ჟამად არ მოიპოვება არც ერთი სოციალისტური მიმართულება, რომელსაც არა ჰქონდეს გათვალისწინებული გლეხთა მდგომარეობა და რომელსაც არა სურდეს მისი მომხრობა და ჩათრევა სოციალისტურ მოძრაობის ფარგალში.

ხოლო ერთი რამ უნდა აღვნიშნოთ. მიქცევით კი მიაქციეს ყურადღება გლეხთა მდგომარეობას სოციალისტურმა პარტიებმა, მაგრამ ერთის აზრისანი არ არიან იმის შესახებ, თუ რა ადგილი უნდა ეჭიროს გლეხობას სოციალურ რევოლიუციის ხანაში, შეადგენს თუ არა გლეხობა, თუ როგორც მომავალი პროლეტარიატი? განსაკუთრებული მეთოდი და ტაქტიკა საჭიროა გლეხობაში პროპაგანდის გაწევისთვის, თუ სოფელშიაც პროლეტარიატისებური ტაქტიკა და მეთოდი უნდა იყოს შემოღებული? ყველა ამ და ბევრ სხვა ამ გვარ საკითხის შესახებ სოციალისტურ ლიტერატურაში ორი მიმართულება, ორი შეხედულება არსებობს.

ერთნი ამტკიცებენ, რომ გლეხობას ეკონომიურ ევოლიუციის ზედავლენით (კაპიტალის კონცენტრაცია) დღეს თუ ხვალ კერძო საკუთრება დაეკარგება; იგი ბოგანო გლეხად გადაიქცევა და, როგორც მომავალ პროლეტარს, მას უნდა ჰქონდეს შეთვისებული პროლეტარიატის აზროვნება სოციალურ რევოლიუციის შესახებ. სოციალისტურ პარტიას ამ სახით გლეხი არ უნდა აინტერესებდეს, როგორც გლეხი, არამედ როგორც მომავალი პროლეტარიატი.

მეორენი ამ აზრს არ ეთანხმებიან. გლეხს არ მოელის გაპროლეტარიატება, განსაკუთრებით ამ ახლო მომავალში. შეიძლება ერთი ნაწილი გაპროლეტარდეს (და მართლაც ასე ხდება), შეიძლება წვრილი მესაკუთრის ეკონომიური მდგომარეობა სანუკვარი არ იყოს, მხოლოდ დიდი უმრავლესობა მიწის მომუშავეთა თვით სოციალურ რევოლიუციის მოსვლამდე მიწაზევე დარჩება და ამიტომ მათთან უნდა მივიდეთ, როგორც გლეხებთან და ავუხსნათ, რა საშუალებით შეუძლიანთ შეცვალონ მიწის მფლობელობის არსებული ფორმა. გლეხს უნდა გაჩვენოთ იარაღი, რომლის საშუალებითაც შეიძლება მიწის საზოგადო კუთვნილებად გადაქცევა და, ამ რიგად, სოციალურ რევოლიუციის მოახლოვებამდე სოფელშიაც ნიადაგი მომზადდებაო.

ჩვენ რაღა გზას ვადგევართ? რაღას ვურჩევთ გლეხებს, რა საშუალებას და რა იარაღს ვაძლევთ ხელში მონობის ჯაჭვთა დასამსხვრევად? გლეხის დაქცეულობა უკიდურესობამდე მივიდა. მოიჯარადრეა იგი, დროებით ვალდებული, ხიზანი თუ წვრილი მესაკუთრე, ყოველის მხრიდან არის შევიწროებული და დამონებული. ხოლო იგია მწარმოებელი, იგია „სიმდიდრის“ შემქნელი. და ამიტომ, როგორც უნდა იყოს „ეკონომიურ პროცესის“ ევოლიუცია, მისი მდგომარეობა დაუყოვნებლივ უნდა შეიცვალოს ძირიანფესვიანად, მას ეხლავე უნდა მიეცეს ნუგეში სოციალურ უსამართლობის გასწორებისა და ბრწყინვალე მომავლის მოახლოვებისა. საჭიროა მხოლოდ, ამ მომავლის დაპყრობის ერთი ნამდვილი გზა და იარაღი აღმოაჩინოს, რათა ძალა და მხნეობა არ დაეხარჯოს მიხვეულ-მოხვეულ ბილიკებში და შესვენების ეტაპებში საბოლოო მისაღწევი მიზანი არ დაავიწყდეს.

* *

კაპიტალისტურმა ევოლიუციამ თავისი დაღი სოფელსაც დაასვა. ამ ევოლიუციის გავლენით მეტად გართულდა მიწის მფლობელობის ურთიერთობა. გართულებასთან ერთად საკუთრების მფლობელობა ფრიად მოძრავი შეიქნა,—ხან ერთ ხელში გადადის, ხან მეორეში. რომ დააკვირდეთ სოფელს, ჩვენებურს და ევროპიისას, იქ დღეს ორ ეკონომიურ კლასს კი არა, მეტსა ჰპოვებთ.

შეძლებულობის მხრივ სათავეში დიდი მამულის პატრონი სდგას. მართალია დიდი მამულის პატრონი ჩვენში ისე არ არის შეიარაღებული ცოდნით და კაპიტალით, როგორც დასავლეთ ევროპაში. ჩვენში ძალიან ცოტაა „სამაგალითო ფერმები“, ინტენსიურ ხასიათის მეურნეობა თითქმის არ არსებობს, ქიმიურ სასუქს ჯერ არა ხმარობენ და სამკალი, სალეწი და სხვა ამ გვარი მანქანები, რომლებიც ას კაცის სამუშაოს ერთ დღეში ასრულებენ, აქა-იქ თუ მოიპოვება. ამიტომ დიდი მემამულე ისეთ ძლიერ მეტოქობას ვერ უწევს წვრილ ანტრეპრიზებს, როგორც დაწინაურებულ ქვეყნებში. საზოგადოდ, მისს ძლიერებას შეადგენს მამულის სიდიდე. ტყე, სახნავი, სათიბი მიწა, საძოვარი თუ იარაღი,—ყოველივე უხვად აქვს. და ამიტომ გლეხობის ის ნაწილი, რომელსაც ტყე, სახნავიც, საძოვარიც ესაჭიროება, რადგან თვისი ან არა აქვს, ან რაც აქვს, არა ჰყოფნის, დიდ მემამულის პირდაპირ დამოკიდებულებაშია.

დიდ მემამულეს თანსდევს საშუალო შეძლების მემამულე. ამ რიცხვში ქართველ თავადაზნაურობის უმრავლესობაა, ხოლო ამ მემამულეთა ჯგუფს ბევრი არა-აზნაურიც ეკუთვნის. გლეხებიც და ვაჭრებიც არიან საშუალო შეძლების მემამულენი.

ამ ორ კატეგორიის მემამულეთა იქით იწყება სოფლის ღარიბ-ღატაკთა სამეფო: დროებით ვალდებული გლეხები, მოიჯარადრენი, წვრილი მესაკუთრენი, მოჯამაგირენი და სხვ. ესენი თავიანთის შრომით ირჩენენ თავს, ხოლო ყველანი დიდ საშუალო მემამულეთა დამოკიდებულებაში არიან.

აი, ამგვარ ელემენტებს ვპოულობთ დღეს ჩვენს სოფელში. როგორც ვხედავთ, განხეთქილების ნიადაგი მარტო თავად აზნაურთა და გლეხთა შორის არ აღმოჩნდება. იგივე განხეთქილება სხვა და სხვა შეძლებულობის გლეხთა შორისაც არსებობს.

ამგვარ დიფერენციაციას, როგორც ვსთქვით, არამც თუ მარტო ჩვენში ვპოვებთ, იგი რუსეთსა და დასავლეთ ევროპაშიაც არსებობს. ამიტომაც არის სხვა ქვეყნების მიწის მფლობელობის ურთიერთობის შესწავლას ჩვენთვისაც პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

სხვა და სხვა შეძლების სოფლის ელემენტთა შორის, რასაკვირველია, თანხმობა არ არსებობს, წვრილ-ფეხა გლეხი, მოიჯარადრეა იგი თუ მესაკუთრე, თავის საჭიროებებს ვერ აუდის. საჭიროება აიძულებს ხან მევახშეს მიჰმართოს, ხან დიდ მემამულეს. ფულიც სჭირდება, მიწაც. დროებით ვალდებული და ბოგანო გლეხი ხომ მთელ თავის სიცოცხლეს სხვის ჯაბის გასქელებას ანდომებს და ამ ოთხის კატეგორიის გლეხები ჩვენში გლეხობის დიდ უმრავლესობას შეადგენენ.

ყოველივე მათის შრომით კეთდება. მათის შრომით არის მამა-პაპიდანვე სახნავად მომზადებული მიწა, ქვებისგან გასუფთავებული, მათ გასჭრეს გზები, ჩასჭრეს ვაზები, ამათ ჰხედავთ ვენახებსა, მინდვრებსა და ტყეში, სადაც ხნავენ, სთესავენ, ტყეს და ჭიგოს სჭრიან. ერთის სიტყვით, ესენი არიან მწარმოებელნი, მუშანი, სიმდიდრის შემქნელნი. ხოლო შრომის ნაყოფით მათ შიმშილი და გაჭირვება ხვდათ წილად. მთელ სიცოცხლეს წელებზე ფეხს იდგამენ, სცდილობენ ცოლ-შვილი გამოჰკვებონ, ირჯებიან და სიცოცხლეს ჰლევენ მემამულის, მევახშის და სახელმწიფოს საკეთილდღეოდ და ამ „სამების“ მიერ ისე არიან შებოჭილნი, რომ ადამიანის სახეც დაჰკარგვიათ. ახლა გვიბრძანეთ, განა მწარე დაცინვა არ არის, როდესაც ამ ტანჯულთ, ამ დამონებულ მიწის მუშაკთ, ამ ღარიბ-ღატაკთ ზოგიერთი „სოციალისტი“ ბურჟუაზიის ნაწილად სთვლის? მათ ხელში საწარმოო იარაღია—მიწა, მესაკუთრენი არიან, მაშასადამე, ბურჟუები არიანო! ხოლო დოქტრინიორებმა ვერ გაიგეს, რომ ბურჟუა მხოლოდ ის არის, ვინც სხვისის შრომით სცხოვრობს, ვინც სხვას სძარცვავს, და არა ის, ვინც თავის მარჯვენით ირჩენს თავს, თავის შრომას და ადამიანობას სხვას აძლევს. ამნაირი შრომის წარმომადგენელი გლეხი, წვრილი მესაკუთრე რომ იყოს, არამც და არამც ბურჟუად არ ჩაითვლება, და ამიტომ სოციალისტმა ისევე უნდა დაიცვას მისი ინტერესები, როგორც იცავს პროლეტარიატის ინტერესებს. მაშასადამე, სოფელში ჩვენ გლეხობის ერთ ნაწილს ვუდგებით გვერდში, ესენი არიან წვრილი მესაკუთრენი, მოიჯარადრენი, ხიზნები, დროებით ვალდებული გლეხები და მოჯამაგირენი. ეს ის ელემენტია, რომელიც მშრომელ გლეხობას შეადგენს, იმ გლეხობას, რომელიც ჰქმნის ყოველსავე იმას, რაც ადამიანისათვის აუცილებლად საჭიროა, ეს ის „სიმდიდრის“ შემქნელი გლეხობაა, იმ სიმდიდრისა, რომლის განაწილებაშიაც თვითონ თითქმის არავითარი წილი არ უძევს. საშუალო შეძლების მემამულეს (გლეხს თუ აზნაურს) მოჯამაგირენი ჰყავს. ამ მოჯამაგირეთა შრომის ნაყოფით არის იგი უზრუნველყოფილი. მევახშე იმას უყურებს, სად არის გაჭირვება, რომ იქ გაშალოს თავისი ქსელი. მევახშის კეთილ-დღეობა აგებულია გლეხობის სიღარიბე-გაჭირვებაზე. დიდი მემამულე არც კი სცხოვრობს სოფელში და მოურავის საშუალებით აგროვებს დალას და რენტას. იმის ხელშია მიწა, ტყე, ვენახი, საძოვარი და იარაღი. იმის ხელშია ის, რითაც სცოცხლობს გლეხი, რაც მაგრე ესაჭიროება მას. იმის ხელშია საწარმოო იარაღი. და სანამ ეს ასე იქნება, მშრომელი გლეხობა, ვისაც ესაჭიროება საწარმოო იარაღი (მიწა, გინდა ტყე და სხვ.), ამ მემამულისაგან იქნება დამოკიდებული.

მაშასადამე, საშუალო შეძლების მესაკუთრის, მევახშის და დიდ მემამულის ინტერესები მშრომელ გლეხის ინტერესებს ეწინააღმდეგება. მათ შორის უთანხმოება იყო წინად. იგი უთანხმოება ამ ჟამად აშკარა შეტაკებად და ბრძოლად გადაიქცა.

* *

ყველა კარგი, გვეტყვიან, წვრილ მესაკუთრეთა და გაჭირვებულ გლეხთა მხარს გიჭერავთ. ხოლო რანაირად უნდა დაეხმაროთ? ეცდებით გაუმჯობესოთ მათი მდგომარეობა როგორც კერძო მესაკუთრეებისა, თუ სხვა გვარად იზრუნებთ მათის სასარგებლოდ? თუ კერძო საკუთრების განმტკიცებას შეეცდებით თქვენს ძალ-ღონეს, „მესაკუთრეობის ჟინის“ განვითარებას შეუწყობთ ხელს, სოციალიზმის წინააღმდეგ იმოქმედებთ, რადგან სოციალიზმი სწორედ უარყოფაა კერძო საკუთრებისა. და თუ სხვანაირად იმოქმედებთ, რა საშუალებით შეუძლია გლეხს მიწაზედაც დარჩეს, ყველა თავისი მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს, და მევახშე და მემამულეც აიცილოს? კითხვა საფუძვლიანია

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზის ტოტებს შუა. სულ ხუთი ბატალიონი ქვეითი ჯარია ჩამოყვანილი და ერთი თერგის ყაზახთა ბატარეია. რადგან კურინის პოლკის სადგომში ჯარის კაცთა შორის სახადია გავრცელებული და ახლად ჩამოყვანილი ჯარი იქ ვერ დადგება, ამიტომ გუბერნატორმა წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას, მისცეს ჯარს დასაბანაკებელი ადგილი.

◆ 6 აგვისტოს ღამე სამაზრო პოლიციის სამმართველოს დაეცა თოთხმეტი შეიარაღებული კაცი, მაგრამ მარდმა მოხელემ და დარაჯებმა შეჰქნეს ყვირილი. ამ ამბავზე შეიარაღებულნი გაიქცნენ. დაიჭირა ერთი ყარაული. თავდამსხმელთ იარაღი უნდა წაიღოთ.

◆ 1 სექტემბრიდან სალორიის აგარაკში მდებარე ქალაქის სასაფლაო გადავიდა სასულიერო უწყების ხელში. იმერეთის ეპისკოპოსის ლეონიდის განკარგულებით ქუთაისში დაარსდა სასაფლაოებზე მზრუნველი კომიტეტი ა. ს. ხაბურზანის თავმჯდომარეობით, რომელიც განაგებს ყოველგვარ სასაფლაოს საქმეს. სამზრუნველოს აქვს თავისი კანტორა იმერეთის ეპარქიის სანთლის საწყობ ქარხანასთან, მთავარანგელოზის ეკლესიის გვერდით, ბულვარის პირდაპირ.

ერობის შემოღება

გურია. ეს რამდენიმე დღეა ოზურგეთში კი არა, სადღაც თავისუფლების ქვეყანაში, მგონია ჩემი თავი, სადაც სიტყვის და კრების თავისუფლება უკვე არსებობს... რა მოხდა? მოხდა, ის რაც ორმოცი წლის წინად უნდა მომხდარიყო. ყოვლად მოწყალე ბიუროკრატიამ დიდი ზეიმით მოგვაწოდა ერობა... და აი სწორედ ამ ერობის მიღების გამო ერთი კვირაა, დიდი კრებები, დიდი ამბები ხდება. ასევე მოხდა ოზურგეთში 26 აგვისტოს. დილის თერთმეტ საათიდან ქალაქის ბაღში, როტონდაში შეიკრიბნენ ქალაქის მცხოვრებნი, დიდი და პატარა, ქალი და კაცი, რათა საერობო სამაზრო საბჭოში გასაგზავნი კაცები აერჩიათ. სტ. ქორქოლიანის თავმჯდომარეობით კრება გაიხსნა და პირველად ერობის შესახებ ილაპარაკა თ. ნიკო თავდგირიძემ, რომელმაც ის აზრი გამოსთქვა, რომ ასეთი ერობა ჩვენთვის აუცილებელია და უნდა მივიღოთ. ამის წინააღმდეგ ილაპარაკა მეორე ორატორმა. ამან სთქვა, რომ დღეს ჩვენთვის კუდ მოგლეჯილი ერობა ჩვენს წყლულს მალამოდ ვერ დაედება, მაგის მიღების დრო დიდი ხანია წავიდა, ეხლა ჩვენ გვინდა უფრო მეტის უფლებებით, ხალხის ჭირ-ვარამის გამომხატველი, თავისუფალი და არა ბიუროკრატების მიერ ფრთებ შეკვეცილი ერობაო. დიდის კამათის შემდეგ ყუთი დაუდგეს ორ რეზოლიუციას, თავ. თავდგირიძის და მეორე ორატორისას. მიღებულ იქმნა უკანასკნელის რეზოლიუცია, 213 ხმით 43 ხმის წინააღმდეგ, ნ. თავდგირიძის რეზოლიუციამ მიიღო 70 თეთრი და 168 შავი. აქვე მოვიყვან რეზოლიუციის შინაარსს: „ჩვენს გაგზავნილ წარმომადგენლებს ვავალებთ მოითხოვონ, რომ დაუყოვნებლივ შემოღებულ იქნას ერობა, რომელიც იქნება დამყარებული საყოველთაო, პირდაპირ, თანასწორ და ფარულ კენჭის ყრაზე, განურჩევლად ეროვნებისა, სქესისა, სარწმუნოებისა, სიმდიდრე-სიღარიბისა. არ უნდა ჰქონდეს არავითარ ცენზს მნიშვნელობა და უპირატესობა. არჩევნებში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველას, ვისაც კი ოცი წელი შესრულებული ექნება. ერობა უნდა იქნას სრულიად დამოუკიდებელი ადმინისტრატია-პოლიციისაგან, უნდა იქნას დამყარებული ნამდვილ დემოკრატიულ საფუძველზე და სრულიად თავისუფლათ ფართო უფლებებით. უნდა განაგებდეს ყოველსავე საქმეს და პასუხის მგებელი უნდა იყოს მხოლოდ თავის ამომრჩევლების წინაშე“. თუ ამნაირ ერობის მოცემაზე უარს გვეტყვიან, იმ შემთხვევაში წარმომადგენლები პირდაპირ უარს ამბობენ სხვა ტიპის ერობის მიღებაზე“.

29 აგვისტოს კვლავ მოხდა კრება და ხალხმა დაასახელა ოთხი კანდიდატი, რომლებთან ერთადაც აირჩია ათი წარმომადგენელი (ამათში ორი ქალიც იყო), რათა საზოგადოების მაგიერ დასწრებოდნენ ხმოსნების კრებას თვითმმართველობაში. თითონ ხალხმა-კი დაუცადა არჩევნებს. ამ დროს სხვა და სხვა ორატორმა სიტყვები წარმოსთქვა.

ოცდა ათისათვის დანიშნული იყო მთელი გურიის თავად-აზნაურობის და წვრილ მემამულეების კრება. მართლადაც დილიდანვე ყველა სოფლიდან დიდძალი ხალხი მოაწყდა ქალაქის ბაღს და თერთმეტ საათზე კრება დაიწყო თავ. კ. ერისთავის თავმჯდომარეობით. ხალხმა პირდაპირ მოსთხოვა თავმჯდომარეს, მიეცა მათთვის სიტყვის თავისუფლება, რაზედაც ისიც დასთანხმდა, და ბევრი საგულისხმიერო სიტყვა წარმოსთქვა ერობის შესახებ. ბევრი ილაპარაკა თავ. ნ. თავდგირიძემ. კრება დასრულდა წარმომადგენლების არჩევით. სხვილმა მემამულეებმა აირჩიეს: ჯაბა ერისთავი, გრიგოლ გუგუნავა, ნიკო გეგელაშვილი, მიშა თუმანიშვილი, ალექსანდრე შარაშიძე და ერმილე ნაკაშიძე; წვრილმა მემამულეებმა: არსენ მამულაიშვილი, დიმიტრი გოგიტიძე, ლადიკო ცეცხლაძე, ისააკი საბაშვილი, ალექსანდრე ხუნგია, ირაკლი კალანდაძე, ნიკო თავამაშვილი, არსენ წითლიძე, გიორგი ქიქოძე, ლევანტი გოგიბერიძე, მოსე გოგიტიძე და ილია მგალობლიშვილი; ქალაქმა: სიმონ გრიაზნოვი და გიორგი ქოდოშვილი, სოფლელებმა: გიორგი ცინცაძე ერკეთ-სურებმა, ილარიონ კალანდაძე ბასილეთ-ჯვარცხმამ, დათიკო ვაჩეიშვილი—აკეთმა, თომა ლომინაძე—აცანამ, თედორე კიკვაძე—შემოქმედ-ლეხაურმა, ირაკლი დოლიძე ფარცხმა-ამაღლეამ, აბიბო კორიფაძე—ნანეიშვილი-ზემოხეთმა, სევასტი მურვანიძე ხვარბეთი-გურიანთამ, გაბრიელ მეგრელიძე ასკანამ, პროკოფი ფირცხალაიშვილი ლანჩხუთ-ნიგოითმა, გიორგი მურვანიძე მიქელგაბრიელ-ჩოჩხათმა, ნოე გოგელია ჯუმათ-ძიმითმა და მახარობელ კვაჭაძე ჯურყვეთ-ჩიბათმა. სულ გურიაში არჩეულ იქნა 33 წარმომადგენელი.

ამ არჩეულთა კრება მოხდა 31 აგვისტოს თავ. კ. ერისთავის თავმჯდომარეობით, მაგრამ ჩქარა შესწყდა და მეორე დღისთვის გადიდო, რადგან ტფილისიდან 29 აგვისტოს მომხდარი ამბავი მოვიდა. —**ლია.**

რუსეთის ქრონიკა

პროკლამაციებისა და სხ. აკრძალულ წიგნების საწყობი. 20 აგვისტოს რიგაში, ერთს სახლის სარდაფში, უპოვნიათ აკრძალულ წიგნების საწყობი. რამდენიმე ათასი პროკლამაცია ყოფილა რუსულ, ლატიშურ და ებრაულ ენებზე; ყოფილა აგრეთვე მრავალი ბროშურა და სხ. უნახავთ ამას გარდა 52 რევოლვერის პატრონები. დაჭერილ მამა-შვილისთვის უპოვნიათ ანგარიში, სადაც ნაჩვენები ყოფილა, რომ მარტო აგვისტოს განმავლობაში 25,000 პროკლამაცია გაუვრცელებიათ ხალხში. დაჭერილი მამა-შვილი გადაუციათ ჟანდარმთა სამმართველოსთვის. („ბ. ვედ.“).

ადმირალ ნებოგატოვის მოხსენება. იაპონიიდან მიუღიათ დაწვრილებითი მოხსენება ადმირალ ნებოგატოვისა. მოხსენებაში აღნიშნულია თურმე, რა მიზეზით დაემორჩილა იაპონელებს და გადასცა გემები. („ბ. ვ.“).

„დაჰკათ სტუდენტებს!“ 28 აგვისტოს, ღამის პირველ საათზე, პეტერბურგის ზოოლოგიურ ბაღში ვიღაც კაკარდოსანს შეუნიშნავს სტუდენტები და მრისხანედ განკარგულება მოუხდენია: „დაჰკათ სტუდენტებს, ამ ბუნტოვჩიკებსა, ამ ხულიგნებსაო!“ იმწამსვე მოცვივნულან წესიერების დამცველნი და დაუწყიათ უწყალოდ ცემა როგორც სტუდენტებისა, ისე სხვა ინტელიგენტებისთვის. („ბ. ვედ.“).

ჟანდარმისა და უბნის ზედამხედველის დაჭრა. აგვისტოს ბოლო რიცხვებში მინსკში ჟანდარმ-უნტერ-აფიცერს თავს დასხმია შეიარაღებული ხალხი.

ბელოსტოკში ქარხნის პატრონის აჩერეკის სახლში გადაუგდიათ ყუმბარა.

ვარშავაში მოუკლავთ ჟანდარმი და დაუჭრიათ უბნის ზედამხედველი. („ნ. ჟ.“).

ფინანსთა სამინისტროს საბჭოს წევრმა ვ. კასპეროვმა გაფლანგა 140,000 მანეთი ხელმწიფო ფული. დაპატიმრებული კასპეროვი ეხლახან გაანთავისუფლეს, რადგანაც გაფლანგული 140,000 მანეთი უკვე წარუდგენია. („რუს“).

ადმინისტრატიულ დადგენილების შეცვლა სამშობლო ენის შესახებ. ლოძის (პოლონეთში) ყველა სასწავლებელს მისვლია სახალხო სკოლების დირექტორის ოფიციალური მიწერილობა. დირექტორი აცნობებს მოისპოს ადმინისტრაციის მიერ მომხდარი დადგენილება, რომლის ძალითაც პოლონელ მასწავლებლებს უკრძალავდნენ სამშობლო ენაზე ლაპარაკს სკოლებში გაკვეთილების შემდეგაც-კი. („ნ. ჟ.“).

ათი კაცის სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოცხადდა გაზეთებისა და დეპეშათა სააგენტოების მიერ ერთსა და იმავე დღეს; ორი იმათგანი გადაუწყვეტიათ პეტერბურგში, ოთხი—სევასტოპოლში და ოთხი ხერსონში. პეტერბურგში ორი მცირე წლოვანნი ჩამოუხრჩვიათ, სევასტოპოლში ოთხი მატროსი და ხერსონში სადიცეპლინო ბატალიონის ოთხი სალდათი დაუხვრეტიათ. („რუს“).

თავისუფალი უნივერსიტეტი მოსკოვში. ერთ უცხო პირს, რომელსაც არ უნდა გამოაქვეყნოს თავისი ვინაობა, შეუწირავს 500 ათასი მანეთი ქალაქ მოსკოვისთვის იმ პირობით, რომ ამ ფულით დააარსონ მოსკოვში თავისუფალი უნივერსიტეტი. ამ ახალ უნივერსიტეტის საკითხის შესახებ წინასწარი თათბირი ჰქონიათ შემწირველის რწმუნებულთა და ქალაქის საზოგადო მოღვაწეთა ზოგიერთ პირთ, რომელთაც ერთად შეუდგენიათ ამ განმანათლებელ დაწესებულების წეს-დებულების პროექტი. ფიქრობენ, თავისუფალ უნივერსიტეტის დაარსება და მართვა-გამგეობა ცნობილ მეცნიერს და მწერალს მაქსიმ კოვალევსკის მიანდონ. („ს. ოტ.“).

მოდარაჯე სალდათების თავდასხმა. ქ. გროზნის განაპირას 30 აგვისტოს ღამე მოდარაჯე სალდათებს თავს დასხმიან ჩაჩნები და თოფის სროლა დაუწყიათ. დაუჭრიათ ორი სალდათი. („რ. სლ.“).

მოწოდება ინტელიგენტ რუს ქალთა მიმართ. „რ. სლ.“-ში მოთავსებულია წერილი რედაქციის მიმართ, რომლითაც უცნობი ავტორი მიმართავს და იწვევს ყველა რუს ქალიშვილებს, შეადგინონ კავშირი დამშეულ რუსის ხალხის დასახმარებლად. ავტორი ამ აზრის მისაღწევად ურჩევს ქალიშვილებს დასთმონ საბალო ტანისამოსები და საზოგადოდ მოდების ძვირფასი სამკაულ-მორთულობა და აქედან გადარჩენილი ფული უკანასკნელ გადასდონ დამშეულ ხალხისთვის. ავტორი დასძენს ამასთან, რადგანაც ამგვარ ქალებ შორის ძალიან ცოტა მოიპოვება გაზეთების კითხვის მოტრფიალე, და ჩემი თხოვნა და რჩევა ბევრის ყურებამდი ვერ მიაღწევს, ამიტომ ვთხოვ ყველას ეს მოწოდება წააკითხონ იმათ, ვისთანაც იგი მიმართულია. („ს. სტ.“).

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის მე-2901 ნომერში დაბეჭდილ წერილის საპასუხოდ ვაცნობო და მოვაგონო ბ-ნ ბაკურაძეს, რომ მისი დათხოვნა მიზეზიანიც იყო და ამისი წერილობითი საბუთიც ხელში უპირავს. რაიც შეეხება იმას, რომ მე ვითომ საზოგადოებაში როგორც ბ-ნ ბაკურაძეზე, ისე დანარჩენ მასწავლებლებზედაც ცუდს ხმებს ვავრცელებდე, სიცრუეა. თუ ბ-ნი ბაკურაძე მიჩვენებს ერთს კაცს მაინც, რომ მე მასთან ცუდად მომეხსენებინოს როგორც ბაკურაძე, ისე დანარჩენი მისი სამსახურის ამხანაგები, მაშინ მის წინადადებას სამედიატორო სასამართლოს დანიშვნის შესახებ მივიღებ, თუ ვერ დამიმტკიცებს, მაშინ ესეც სიცრუე იქნება ბ-ნ ბაკურაძის მხრივ.

მცირე წლოვან დამნაშავეთა ახალშენის დირექტორი

თ. მაღალაშვილი

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ მოათავსოთ ეს მცირე წერილი თქვენს გაზეთში. წელს, 28 აგვისტოს ჩვენ, სოფლის ძევრის მცხოვრებნი, შევიკრიბენით მოსალაპარაკებლად ჩვენის ცხოვრების გაუმჯობესობის შესახებ და, სხვათა შორის, დავადგინეთ შემდეგი: 1. მოისპოს ქორწილსა და ტირილზე უზომო და უსარგებლო ხარჯები; 2. აეკრძალოს ყველას დათრობა და უწესოება, როგორც დუქანსა, ისე ოჯახში, რადგან ღვინის სმით ხდება კაცის კვლა, თვით მსმელის უდროოდ დაუძლურება და ოჯახის გაღარიბება; 3. მოისპოს ღვთის მშობლობის დღესასწაულზე სტუმრების მოპატიჟება, როგორც გამლატაკებელი ჩვეულება და მასთან ოცდა ხუთი მანეთი ჯარიმა დავადევით გადასახდელად სოფლის სასარგებლოდ იმას, ვინც იმ დღეს წვეულებას გამართავს. ვაცნობებთ რა ზემო აღნიშნულს ნათესავთა და ნაცნობთ, ვსთხოვთ ღვთის მშობლის დღესასწაულზე ნუღარ გვესტუმრებიან. მცხოვრებთა მინდობილებით **ანემპოდისტე რიაბაქიძე**

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს გაზეთში ჩვენის ორიოდე სიტყვას. სოფელ ჩხენიშის საზოგადოებამ შევწყვიტეთ წვეულების გამართვა რვა სექტემბერს ღვთისმშობლის დღესასწაულში. შევწყვიტეთ აგრეთვე ღამის თევა, ცეკვა და თამაში, რომელიც მთელი ერთი კვირას ხდებოდა. მხოლოდ მლოცველს ნება ეძლევა მობრძანდეს ეკლესიაში. წინააღმდეგი გადიხდის ჯარიმას არა ნაკლებ 25 მანეთისა.

საზოგადოების მინდობილობით **დუხუ გაჩალეიშვილი, ი. ს. ხარებავა, ხევ. მიქელაძე**

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ უმორჩილესად თქვენის გაზეთის საშუალებით გამოაცხადოთ, რომ ქუთაისის მაზრის სიმონეთის საზოგადოებამ კრებაზე გადასწყვიტა წელს აღარ გადაიხადოს სიმონეთში ენკენობის დღესასწაული 18 ენკენისთვეს, ხოლო ეწერსა და ძევრში ღვთისმშობლობა 8 ენკენისთვეს. ამისათვის ვაუწყებთ სტუმრებს, არ მობრძანდნენ ზემო აღნიშნულ დღეებში. ვინც წვეულებას გამართავს, 15 მანეთით დაჯარიმდება.

საზოგადოების მინდობილობით

მირიან გვენეტაძე

ბატონო რედაქტორო!

მოგზაურის მე-32 №-ში მოთავსებულია წერილი ბ-ნ ფ. ქორქოლიანისა, რომლითაც ის [illegible]

და ამიტომ პასუხი უნდა გაეცეს.

ბევრნი ლაპარაკობენ ეკონომიურ ევოლუციის შესახებ. წვრილი საკუთრება კონკურენციის ძალით იღუპება, ამბობენ ერთნი. არა, იგი არც იღუპება, არც განსაცდელშია და ბრწყინვალე მომავალი მოელის, ამბობენ მეორენი. ჩვენთვის ის-კი არაა საინტერესო, მარტოდ მომავალში რა ბედი მოელის წვრილ საკუთრებას. ჩვენი ყურადღება მიმართულია შემდეგ საკითხზე: არის თუ არა წვრილ საკუთრების გაუქმება პირობა მიწის სოციალიზაციის დამყარებისათვის? ან კიდევ, შესაძლებელია თუ არა სოციალიზაციის განხორციელება წვრილ საკუთრების გაუქმებამდე?

ყოველი ჩვენი სჯა-ბაასი წვრილ საკუთრების შესახებ ამ ძირითად აზრზეა დამყარებული. აქ არის განსხვავება. ბურჟუაზიული მწერალნი სულ იმ განზრახვით ესარჩლებიან წვრილ საკუთრებას და ნიშნს უგებენ ზოგიერთ სოციალისტებს და ეუბნებიან, სოციალიზმის განხორციელებას კონცენტრაციის კანონზე აშენებდით, ეს კანონი-კი ცხოვრებაში არ მართლდება, მაშასადამე, დიდ ხანს მოგიხდებათ ლოდინი, სანამ თქვენს წადილს მიაღწევთო. „თუ წარმოების კონცენტრაციას იმ ფასს და მნიშვნელობას აძლევენ, ამბობს ცნობილი ეკონომისტი ურგენი, ვითომ იგი უნდა იყოს კოლექტივიზმის მომასწავებელი, უნდა აღვიაროთ, რომ ასეთ სოციალიზმისათვის ევოლუციას ჯერ კიდევ ბევრი გზა აქვს გასავლელი. სოციალისტებმა გაიგეს, რა საბუთებს აძლევენ თავიანთ მოპირდაპირეთ, ბურჟუაზიულ მწერლებს, და მარქსისტულ დოგმას ასე აშკარად აღარ მისდევენ.

მართალია, დღეს ჯერ კიდევ წოდებულ „კაპიტალის კონცენტრაციის“ დიდი გასავალი აქვს. ეკონომიური პროცესი ისეთის ჩქარის ნაბიჯით არ მიისწრაფვის კონცენტრაციისაკენ, როგორც მარქსმა და ენგელსმა იწინასწარმეტყველეს. ბურჟუაზიულ ეკონომისტების დამტკიცებაც ამ ევოლუციის მსვლელობაზე [illegible] დამყარებული. დღეს საქმე იქამდის მივიდა, რომ კაუტსკი იმასაც კი აღიარებს, კერძო და წვრილი საკუთრება არამც-თუ სოციალურ რევოლუციამდე არ გაუქმდება, არამედ ამ რევოლუციის შემდეგაც იარსებებსო. აი ამისი სიტყვები: სოციალურ რევოლუციის შემდეგ „დარჩებიან წვრილი მესაკუთრე გლეხები, რომლებიც ძველებურად ოჯახის წევრთა შრომით იმუშავებენ თავიანთ საკუთრებაზეო“.

ვანდერველდეც აქვე აცხადებს იმის შესახებ, ვითომ გლეხთა პროლეტარიზაცია აუცილებელი პირობა იყოს მათის საზოგადოდ განთავისუფლებისა. „ჩვენ არა გვჯერა, — ამბობს ვანდერველდე, — რომ კოლექტივისტურ (საზოგადო) საკუთრების დამყარებისათვის მესაკუთრე გლეხები ფაქტიურად და აუცილებლივ ძირს პროლეტარიატის მდგომარეობამდე უნდა ჩამოვიდნენ და მერე კაპიტალისტურ ტვირთ-მძიმე ექსპლუატაციის გზას დაადგნენ. გლეხებმა შეიძლება სხვა გზითაც განახორციელონ კოლექტიური მფლობელობის ფორმა, და თავიდან აიცილონ პროლეტარიზაციის ფაზა, რომელიც ემუქრებათ. მათ შეუძლიანთ ძალ-ღონე შეაერთონ და თავისუფალი კოოპერაცია წამოუყენონ წინ დიდ მამულების ძალ-დატანებითი კოოპერაციას. „ეჭვს გარეშეა, — დასძენს ვანდერველდე, — რომ აგერ რამდენიმე წლის განმავლობაში იმგვარი რევოლუცია ხდება ჩვენს სოფლებში, რომელიც კერძო ანტრეპრიზების ადგილს საზოგადო ხასიათის წარმოებას დაუთმობსო“. *) ასე რომ თვით მარქსისტების შეხედულებითაც კი, პროლეტარიზაცია არაა უთუოდ ის საფეხური, რომელიც გლეხობამ აუცილებლად უნდა გაიაროს. თავის აგრარულ გამოკვლევაში იგივე კაუტსკი ამბობს: „არ უნდა ვიფიქროთ, რომ სოფლის წვრილ საკუთრებას თანამედროვე საზოგადოებაში აქრობს მოლოდინს და რომ იგი დაუთმობს ადგილს დიდ საკუთრებას. ჩვენ ვნახეთ, რომ სადაც კი მოხდა სოფელში მიწის დიდი კონცენტრაცია (ერთ ხელში შეკრება), იქ თავის მხრივ დიდი საკუთრება იწვევს დაწვრილმანებასა“-ო **). ან კიდევ სხვაგან: „აქა-იქ წვრილმა ანტრეპრიზამ რიცხვით იმატა. და სტატისტიკას რომ ანგარიში გავუწიოთ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ წვრილი საკუთრება განსაკუთრებულ განვითარების გზას დაადგა“-ო. ***) ყველა ამითი, რასაკვირველია, იმ აზრის დამტკიცება არ გვინდა, ვითომ ბურჟუაზიულ ხანაში სოფელში პროლეტარიზაცია არა ჩნდებოდეს. არა, ჩვენ მხოლოდ იმას ვამბობთ, რომ ამ პროლეტარიზაციას თავისი საზღვარი აქვს.

მაშ წვრილ მესაკუთრეთ ორთა-შუა ანგარიშით არც პროლეტარიზაცია მოელით, და წვრილ საკუთრების გაუქმებაც სოციალიზაციის განხორციელებისათვის პირადად არ ჩაითვლება. ხოლო ყოველივე ეს იმას არა ნიშნავს, რასაკვირველია, ვითომ წვრილ მესაკუთრის მდგომარეობა სანატრელი იქნება მომავალში. მისი გაჭირვება გაორკეცდება კიდევაც, თუ მან მიწის მფლობელობის ფორმას არ შეუცვალა და სწორედ ეს გაჭირვება აიძულებს გასაზოგადოებრივებულ მიწის მფლობელობას შეაფაროს თავისი თავი.

ჩვენ ვნახეთ, რომ მშრომელი გლეხობა დღეს ბატონ-ყმობის დროიდან დარჩენილ ნაშთებისაგანაც არ არის განთავისუფლებული, ვნახეთ, რომ გლეხი მეიჯარისა და მემამულის ყმად ითვლება. გარდა ამისა, ისიც ვნახეთ, რომ წვრილი მესაკუთრე და მოიჯარადრე გლეხი, მიუხედავად იმისა, რომ იგი იურიდიულად ყმობისაგან განთავისუფლდა, ფაქტიურად უფრო ყმას მოაგავს, ვიდრე თავისუფალ ადამიანს. და აი სოციალისტურ პარტიის წინაშე პრობლემაა წამოყენებული: რა გვარი უნდა იყოს გლეხთა სასარგებლოდ მოქმედება? ჯერ ძველ ნაშთებისაგან უნდა განთავისუფლდეს გლეხი, ჯერ უნდა მომზადდეს სოფელში ბურჟუაზიული ნიადაგი კლასთა ბრძოლის გამწვავებისათვის, თუ ეხლავე უნდა იყოს მიღებული ზომები ბატონ-ყმობის ნაშთების მოსპობისათვისაც და კაპიტალისტურ დამონების მოსპობისათვისაც. ახლავე უნდა მიეცეს გლეხს საწარმოო იარაღი—მიწა, ტყე და მიწის გულში დამარხული ყოველი სიმდიდრე—მადნეულობა, თუ დროებით პატარ-პატარა გაუმჯობესებით დაკმაყოფილდეს იგი?

რათა ამ საგანს ჯეროვანი სინათლე მოეფინოს, შევხედოთ პატარა ხანს და ვნახოთ, რას ფიქრობენ ამის შესახებ რუსეთის პარტიები.

⁂

რუსეთის ს.-დ.-ს მახლობელ მოქმედების მიზანი მიწის მფლობელობის ფარგლებში ორია. ერთი მიზანი გაუქმება ბატონ-ყმობის დროიდან დარჩენილ წესებისა, მეორე—მომზადება სოფელში ბურჟუაზიულ ნიადაგისა „კლასთა ბრძოლის თავისუფალ განვითარებისათვის“. ბატონ-ყმობის წესები ყველა გლეხებს აწუხებს, ამიტომ ყველა გლეხები ერთად, ღარიბები და მდიდრები, უნდა შეერთდნენ და იბრძოლონ ამ წესების გაუქმებისათვის.

გადავხედოთ თვით ამისი მოქმედნი. ლენინი ამბობს: „რუსეთში გლეხები, როგორც ღარიბები, ისე მდიდრები, ჯერ კიდევ ძველებურად მუშაობენ მებატონის მამულში, „მოჭრილ მიწის“ საძოვრის, ან წყლის ხმარების უფლებისათვის. ყველა გლეხს სურს განთავისუფლდეს ამ ახალ ბატონობისაგან. ყველას უფლებაში გათანასწორება სწადია, ყველას სძულს მებატონე... ღარიბი ყველა ამისგან უფრო იტანჯება, ვიდრე მდიდარი. მდიდარი გლეხი ხშირად თავს ფულით იხსნის, ხოლო მდიდარი გლეხიც უმეტეს შემთხვევაში დაჩაგრულია მებატონისაგან... (კურსივი ჩვენია) მაშასადამე, სოფლის ღარიბებმა მდიდრებთან ერთად უნდა იბრძოლონ უკანონობის „ბარშჩინის“ და მებატონის მამულში ყოველგვარ მუშაობის წინააღმდეგ“.

ამ სიტყვების ავტორს აქ უეჭველად მიაჩნია, რომ ღარიბი გლეხი მთელ ბურჟუაზიის მიერ იჩაგრება—იმ ბურჟუაზიის, რომლის წრეში დღეს მდიდარი გლეხიც არის წამოსკუპებული,—მაგრამ ყოველივე ეს ბ-ნ ლენინს და ზემოდ აღნიშნულ სიტყვების შემდეგ ამგვარად განაგრძობს თავის საუბარს: „სოფლის ღარიბ-ღატაკნი ორნაირ ბრძოლას უნდა ეწეოდნენ. ერთის მხრივ მუშებთან ერთად მთელ ბურჟუაზიის წინააღმდეგ (კურსივი ავტორისაა) უნდა გაილაშქრონ, მეორეს მხრივ უნდა იბრძოლონ ყველა გლეხებთან ერთად (კურსივი ჩვენია) სოფლის მოხელეთა და მებატონეთა წინააღმდეგ“.

ამ რიგად, ლენინის აზრით, ღარიბი და მდიდარი გლეხი ერთმანეთს უნდა დაუმეგობრდნენ. მართალია, ეს მეგობრობა ცხვრისა და მგლის მეგობრობას მიამსგავსებს. ამიტომ ხიფათის ასაცილებლად ლენინი ურჩევს ღარიბ გლეხს, ნუ დაგავიწყდებაო, რომ ორისავე ხელით ორ ფრონტზე უნდა იბრძოლო, მდიდარ გლეხს ხან მოეფერე, ხან კიდევ კისერში წაჰკარი; უფრო-კი მოეფერე, რადგან დაკავშირება ბატონ-ყმობის ნაშთის გაუქმების საქმეში და ამას ხომ დღევანდელ პირობებში უპირველესი მნიშვნელობა აქვს. ეს „პირველი ნაბიჯი“ უნდა იყოს, ხოლო მთელ „ბურჟუაზიასთან ბრძოლა კი „უკანასკნელი ნაბიჯი“ იქნებაო. „ვინც ურევს ერთმანეთში პირველ და უკანასკნელ ნაბიჯებს, ის ამ ბრძოლას ხელს უშლის, ის შეიძლება შეუგნებლად, სოფლის ღარიბ-ღატაკთა თვალებს უხვევს“-ო—დასძენს ბ-ნი ლენინი.

ამ რიგად, ამ პარტიას ბატონ-ყმობის დროინდელ წესების მოსპობით სურს ბურჟუაზიულ ხანის შექმნა, და ბურჟუაზიული ხანა საჭიროა; მისის აზრით, კლასთა ბრძოლის დროს გლეხს (წვრილ მესაკუთრეს) მიწა დაეკარგება, რადგან წვრილი მამული დიდ მამულს კონკურენციას ვერ გაუწევს. მამულის დაკარგვით გლეხი გაპროლეტარიატდება და ამ რიგად პროლეტარიატთა რაზმი თან და თან გაიზრდება. ხოლო პროლეტარიატის გაზრდა და მასში თვითშეგნების განვითარება სოციალურ რევოლუციის მომასწავებელია. აი რა გზით ჰსურთ სიარული ს.-დებს სოციალურ რევოლუციამდე. ერთ თავის სიტყვაში ჟულ გედმა სთქვა: „ჩვენ ეკონომიურ კონცენტრაციის რიგს უნდა თანსვდევდეთ და არ უნდა ვცდილობდეთ მას (რიგს). და ამიტომ ფინანსიურ და ინდუსტრიალურ საკუთრებას შევეხებით ჯერ და მხოლოდ შემდეგ მიწის საკუთრებასაო“, ერთის სიტყვით, ს.-დების თვალში (განსაკუთრებით რუსეთში) ვანდერველდის თქმისა არ იყოს, „მიწის სოციალიზაცია გრძელ ევოლუციის დაბოლოვება იქნება“ (იხ. Essais გვ. 20).

სულ სხვა ნიადაგზე დგას რუსეთის მეორე პარტია, რომელიც ამბობს, რომ „პოლიტიკურ რევოლუციას თან უნდა მოჰყვეს მარტო ბატონყმურ ნაშთების გაუქმება კი არა, არამედ სხვა რამეც. ჩვენ გვსურს ბურჟუაზიულ ურთიერთობის შერყევაც და ახალ სოციალურ-ეკონომიურ წყობილების საძირკვლის ჩაყრა... ამ განზრახვით ჩვენ მინიმუმ პროგრამაში მიწის სოციალიზაცია არის საფუძველი თანამშრომლობის განვითარების (сотрудничество) და საზოგადოებრივ წარმოების ორგანიზაციისა. მაქსიმალური მოთხოვნაა არა სოციალისტურ საზოგადოების ფარგლებში. იგი მოითხოვს რევოლუციონურად და განხორციელდება კიდევ ჩვენში“. (ა. რუდინი).

ამ მთავარ მოთხოვნის შემდეგ ეს პარტია ასახელებს „კოოპერაციას“, რომელიც უნდა იყოს შეტანილი გლეხობაში. კოოპერაცია სოლიდარობის გრძნობასთან ერთად გლეხობას თანდათან გასაზოგადოებრივებულ შრომას შეასწავლის.

ამ გვარად, როგორც ვხედავთ, ეს მეორე პარტია იქიდან იწყებს, სადაც პირველი ათავებს. ამ ორ მიმართულების შორის ჩვენ ვირჩევთ იმას, რომელიც მიწის სოციალიზაციის საჭიროებას აღიარებს.

(შემდეგი იქნება)

---

*) Essais sur la question agraire en Belgiquepar E. Vanderaelde. page 87.

*) Kautsky—Ouestion agraire გვ. 248.

***) ibid. გვ. 210.

სამართალში მიწვევს რაიმე „საზიზღარ" ცილის წამებისათვის. ვსთხოვ ბ-ნ ფ. ჟორჟოლიანს გამაგებინოს გაზეთის საშუალებით, რა „საზიზღარი" ცილი დავწამე, რის შემდეგაც შეძლება მექნება პასუხი გავსცე.

სტუდ. ვასო მგალობლიშვილი

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

7 სექტემბერი

კიევი, 7 სექტემბერი. უნივერსიტეტის პროფესორად არჩეულ იქმნა პროფესორი ციტოვიჩი.

აქ დაიწყო პსიხიატრთა მეორე კრება. აკადემიკმა ბეხტერევმა წარმოსთქვა შესანიშნავი სიტყვა.

ქუთაისი, 7 სექტემბერი. საეროზო მაზრის კრება გათავდა. არჩეულ იქმნა 6 წარმომადგენელნი საგუბერნიო კრებაზე დასასწრებლად, ერთი ნამესტნიკის საბჭოში დასასწრებლად. 8 წარმომადგენელმა, რომელთაც რეზოლიუცია კრებამ არ მიიღო, უარი განაცხადა შემდეგში კრებებზე მონაწილეობის მიღებაზე.

პეტერბურგი. სახელმწიფო საბჭოს პირველ სხდომებზე განზრახულია შეუდგნენ აღძრულ და დამუშავებულ საკითხების ლიკვიდაციას. ისეთი საქმეები, რომელნიც ძლიერ საყურადღებო არ იქნება, გადაწყდება სახელმწიფო სათათბიროს გახსნამდე. საპასპორტო, ცოლ-ქმარის გაყრისა და სხვა, გადაუწყვეტელი საკითხები, რომლებშიაც ვერ შეთანხმდნენ, სათათბიროში გადაიცემა გასარჩევად. სასამართლოს წესდებანი უკან გადაიცემა შესაფერ სამინისტროებში დასამუშავებლად სათათბიროში წარდგენამდე.

გაზეთ „ბაკუ"-ს ატყობინებენ, რომ ფინანსთა მინისტრის პოსტზე კანდიდატად ასახელებენ აგრეთვე მინისტრის თანაშემწე კუტლერსო.

„რუს"-ის თანამშრომელი ემუსაიფა ორიოლის თავად-აზნაურთა წინამძღოლს სტახოვიჩს რუსეთის პოლიტიკურ პარტიებზე. სტახოვიჩის აზრით, უკიდურეს მემარცხენეთ უარი უნა სთქვან ბევრ თავიანთ სურვილზე და მიიწიონ ახლო ცენტრისკენ, რომელიც ძლიერი ხელმძღვანელი პარტიაა, მით უფრო, რომ მას შეუერთდება უკიდურესი მარჯვენაცო.

კუზმინსკის ანგარიში ბაქოს თებერვლის ამბების შესახებ დასრულებულია და წარდგენილი იქნება უმაღლეს სახელზე ბაქოს მართვა-გამგეობის ყველა დარიგების რევიზიის ანგარიშების დამზადების შემდეგ.

პეტერბურგში, როგორც „ნაშა ჟიზნ"-ი იუწყება, დაბეჯითებით ამბობენ, კავკასიის ნამესტნიკი სამსახურიდან გადის და მის ადგილის პრინცი ლუი ნაპოლეონი დაიჭერსო.

როგორც ამბობენ, სორმოვის ქარხნების ადმინისტრაციას განზრახვა აქვს სექტემბრის გასულს დროებით დახუროს ქარხნები ნავთის გაძვირების გამო.

„რუს"-ში დაბეჭდილია სტატია ამ სათაურით „კავკაზსკაია რასპრია! ავტორის აზრით, მუსულმანთა საკითხი შეუწყნარებლის თანდათანობით გამოდის ასპარეზზე და საშინელს ხასიათს იღებს ყველა ქვეყნებში, რომელნიც ნახევარ-მთვარის ბატონობის ქვეშ არ იმყოფებიან. კავკასიაში არამც თუ დარჩა ანტაგონიზმი ქრისტიანთა და მუსულმანთა შორის წინანდელს ძალაში გადასახლების შემდეგაც-კი, არამედ ალაგობრივ გაძლიერდა კიდეც. ამის გამომხატველია, სხვათა შორის სომეხ-მუსულმანთა ჩხუბი. შეხედულობა ცხოვრებაზე, ინსტინქტები, სიბნელე და უვიცობა მუსულმანთა შორის არსებითად იგივეა, რაც ამ ნახევარ საუკუნის წინ იყო. საჭიროა სისწორითა და მიუდგომლად განიმარტოს ადგილობრივი მომქმედი ძალები, რათა წესიერად იქნას დაყენებული ამ ქვეყანაში სახელმწიფოს საზოგადო პოლიტიკა, რომლის ვალია, უანგაროთ მოეკიდოს როგორც სომხებს ისე მუსულმანებს და ეჭვის თვალით აღარ უცქიროს სომხებს, რომელნიც კულტურისაკენ მიისწრაფიან.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"

5 სექტემბერი.

პეტერბურგი, 5 სექტემბერი. 4 სექტემბერს, დღის 5 საათზე, ხელმწიფე იმპერატორი ავგუსტუსის ოჯახით იახტა „პოლიარნაია ზვეზდა"-ზე ტრანზუნდის რეიდში მიბრძანდა.

შერბურგი, 5 სექტემბერი. ვიტტე გადმოვიდა ნაპირზე საღამოს ექვსის ნახევარ საათზე.

შანხაი. იაპონიას განზრახვა აქვს, კომურას დაბრუნების შემდეგ, მოლაპარაკება დაიწყოს ჩინეთთან მანჯურიის საკითხის შესახებ. დიდს ბრიტანეთსა და გერმანიას განზრახვა აქვთ მოიწვიონ საერთაშორისო კონფერენცია საშინაო ბაჟებისა და ჩინეთის ფულის სისტემის შესახებ. მთავრობამ უნდა გახსნას უცხოეთის ვაჭრობისათვის გირინისა, ნინგუტისა, უნჩუნისა, კვანტუნისა და ციციკარის ოლქები.

ტოკიო. სამშვიდობო ხელშეკრულობის საწინააღმდეგო დემონსტრაციები გრძელდება სხვა და სხვა ადგილას. ძალადობა არსად არ ემჩნევა.

ბაქო, 5 სექტემბერი. ქალაქი დამშვიდებულია მხოლოდ გარეგნობით. ყველა შიშობს. ქუჩებში მოძრაობა ძლიერდება, მაღაზიები ერთი წილი ღიაა. ბაზარს არ უვაჭრნია რამდენსამე დღეს. ქალაქი ორს ერთი-მეორის მოპირდაპირე მტრულ ბანაკად დაყოფილს მოგაგონებთ. ცენტრსა და ვაგზლის რაიონში სომხები ბატონობენ, განაპირა ადგილებსა და თორების ნაწილებში—თათრები. მცხოვრებლებს თოფებიანი სალდათები დასდევენ. ქარხნები და სამრეწველოები არ მოქმედებენ. ათასობით მუშა მიდის უფასოთ ბილეთით. სპარსელებს სამშობლოში ისტუმრებენ. ცეცხლისაგან გადარჩა ნავთის 40 კოშკი. რომანში იმდენი ზარალი არაა, რამდენიც საბუნჩასა და ბალახანაში, ბევრი სახელოსნოები გადსწვეს და დაძარცვეს. გადარჩა უზარმაზრის უმეტესობა, ცეცხლმა გაანადგურა არა უმეტეს 4 მილიონ ფუთის ნავთისა. სამრეწველოებს გარედ გადარჩა ნავთის შესანახი შენობები. უმეტესად დაზიანდა სომხების ფირმები უფრო ნაკლებად—თათრებისა. ადგილადგილ ცეცხლი კიდევ უკიდია. გუშინ საღამოს გადაიწვა 11 კოშკი. ნამესტნიკის სამრეწველოებს ჯარები იცავენ. სამრეწველოები არ არიან საკმაოდ უზრუნველყოფილნი.

შუია. ადგილობრივ ფაბრიკებში ნავთის მაგიერ შეშის ხმარება შემოიღეს. შეშა ძლიერ გაძვირდა.

იენა, 6 სექტემბერი. ვებერთელა სახალხო სახლში გაიხსნა გერმანიის სოციალ-დემოკრატების სიეზდი. გამოცხადდა 370 დელეგატი, მათ შორის პარტიის ყველა გამოჩენილი დეპუტატები: ბებელი, ფოლმარი, ჰეინე და ზინგერი. სიეზდის სხდომები დღეს გაიხსნა. თავმჯდომარეობს ზინგერი. პირველი რეფერატი პარტიის ორგანიზაციის შესახებ წაიკითხა ფოლმარმა. ამბობენ, რომ ამ დღეებში ჟორესი მოვა და სიტყვას წარმოსთქვამს საყოველთაო მშვიდობიანობაზე, რომლის წარმოთქმას ბერლინში აპირობდა.

პარიზი. „მატენ"-ის სიტყვით, საფრანგეთმა გასწყვიტა მაროკოსთანა მოლაპარაკებანი, რადგანაც გერმანიამ მოკადორის ბუხტაში სამნიშვნელო უპირატესობა მოითხოვა. მოლაპარაკება მაინც განახლდება.

შერბურგი. ვიტტემ გაიმეორა ჟურნალისტთან მუსაიფის დროს, რომ ხელშეკრულობაში არავითარი საიდუმლო მუხლი არაა შეტანილი, ვიტტემ ნებას დაიყოლია იაპონელები კონტრიბუციის საკითხის დათმობაში, თვითონ-კი დაუთმო პირველ პუნქტებში და ამით დაამშვიდა ამერიკის საზოგადოებრივი აზრი. რუზველტმა წინდაწინ უთხრა იაპონელებს, რომ ამერიკა არ დაუჭერს მხარს მათ, თუ ომს განაგრძობენ ფულის ანგარიშის გულისათვის. იაპონიას შეეშინდა და თავის დროზე დაუთმო, თორემ რუსეთმა ორჯერ მისწერა ვიტტეს, მოლაპარაკება გასწყვიტეო.

პეტერბურგი. ამ დღეებში გამოაქვეყნებენ ზომებს ბეჭდვით სიტყვის შევიწროების წინააღმდეგ იმ საკითხებში, რომელნიც სახელმწიფო სათათბიროს მიერ იქნება გამოწვეული. ამავე დროს, განზრახულია, [illegible] შუამდგომლობა აღიძრას, რათა ცენზურის და ბეჭდვით სიტყვის შესახები მე-140 მუხლით არ იხელმძღვანელონ საარჩევნო პერიოდის განმავლობაში.

პიატიგორსკი, 6 სექტემბერი. გუშინ კისლოვოდსკში მოვიდა გენ. შირინკინი, რაც გამოწვეულია ნამესტნიკისთვის პირადის მცველების საჭიროებით ტფილისში უკანასკნელ ამბების შესახებ.

ხარკოვი. უნივერსიტეტის რექტორად აირჩიეს პროფესორი რეინგარდი.

ვარშავა. რექტორად აირჩიეს პროფესორი კარსკი.

კისლოვოდსკი, 6 სექტემბერი. დღეს ტფილისს გაემგზავრა ნამესტნიკი ოჯახით და ამალით.

პეტერბურგი. გადაწყდა, უმაღლესად იშუამდგომლონ, რათა დროებითი წესები გავრცელებულ იქნას ყველა უწყების უმაღლეს სასწავლებლებზე.

კიევი. რექტორად აირჩიეს პროფესორი ციტოვიჩი.

ყაზანი. რექტორად აირჩიეს პროფესორი ლიუბიმოვი.

ოდესა. საბჭომ დაადგინა, იშუამდგომლოს, რათა ოდესას მეორე წევრის არჩევის ნება მიეცეს სათათბიროსთვის.

ბაქო. ძარცვავენ სალიანის ოლქის სამრეწველოებს.

7 სექტემბერი

ტფილისი, 5 სექტემბერი. საღამოს 9 საათის ნახევარზე სადგურ აბაშაზე ორი ათასი კაცი დაეცა საფოსტო სამგზავრო მატარებელს. ვიღაცამ მატარებელს ორთქლმავალი მოხსნა, რომელიც სამტრედიას წავიდა. საშინელი სროლა ასტყდა ხალხსა და მატარებლის მახლობელ ორს აფიცერსა, სამს სალდათსა და სამს ჟანდარმს შორის. დაჭრილია მეისრე, გაიკაწრა რიადჩიკი. ხალხში არის მოკლულ-დაჭრილნი. ყველა წაიყვანეს ორს მოკლულს გარდა, რომელნიც ლიანდაგსა და ბაქანზე იპოვნეს. ფოსტა დაცულია. გუშინ, საღამოს 11 საათზე, სადგურ სამტრედიასა და აბაშას შორის, 52 ვერსტზე სამტრედიასა და კოპიტნარს შორის, სიჩქარო მატარებელი № 2 დაეჯახა ქვებისაგან განზრახ გაკეთებულ ბარიკადს და 40 წ. გაჩერდა. ორთქლმავალი და ერთი ვაგონი დაზიანდა ცოტათი.

იურიევი. რექტორად აირჩიეს პროფესორი პასეკი.

პეტერბურგი. უმაღლესის ბრძანებით სრულიად იქნა გაუქმებული სევასტოპოლის 50 წლის თავის დღესასწაულობა, რომელიც გადადებული იყო ომის გამო იაპონიასთან.

ლონდონი. ამბობენ, რუსეთის მთავრობამ აუარებელი გემები შეუკვეთა ინგლისის სხვა და სხვა ფირმასო.

კარაკასი. საფრანგეთის ელჩმა ვენეცუელაში პროტესტი წარადგინა საფრანგეთის სატელეგრაფო სადგურის დახურვისა და დირექტორის გაძევების გამო.

ნიუ-იორკი. ამბობენ, კოლუმბიის პრეზიდენტმა რეიესმა დიქტატურა გამოაცხადაო. ხალხს გაუნადგურებია მისი სასახლეო.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

6 სექტემბერი

ბელგრადი, ორი დღეა, რაც მეფეს თათბირი აქვს ყველა პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენლებთან. თათბირის საგანი ჯერ არ იციან. ოფიციალური წრეები ამბობენ, რომ მემკვიდრის აღზრდაზე აქვთ ლაპარაკიო, მაგრამ მეფობს აზრი, რომ დიდი პოლიტიკური ცვლილებანი იქნებაო. ამბობენ აგრეთვე, რომ მეფე ტახტის მიტოვებას აპირებსო.

პარიზი, 6 სექტემბერი. დღეს დილის 9 საათზე და 45 წ. შერბურგიდან მოვიდა ვიტტე მისსიის წევრებითურთ.

მე-79 ტირაჟი მეორე მომგებიანის სესხისა; გათამაშებულ იქმნა შემდეგის სერიების ბილეთები:

430, 14922, 4556, 9831, 8876, 2989, 19626, 6682, 12739, 8573, 15890, 8073, 551, 15190, 7427, 11956, 9983, 5299, 11204, 2263, 8446, 9532, 19785, 7706, 16811, 13341, 2023, 14116, 10062, 7778, 7817, 14587, 3292, 381, 9287, 17017, 13257, 4010, 3163, 112, 16629, 10089, 7890, 32, 13930, 11133, 16567, 3755, 5717, 5964, 13944, 10770, 13816, 7240, 2459, 17279, 9962, 4260, 17317, 13601, 1184, 10392, 12314, 18183, 18325, 12275, 10338, 13330, 10691, 13471, 7671, 3917, 4955, 12253, 15176, 18890, 19917, 3932, 14877, 14294, 10203, 15382, 6481, 11709, 4478, 6392, 10852, 13583, 9546, 5813, 16698, 3215, 14272, 1713, 12238, 5605, 3152, 5528, 2723, 4075, 2458, 19547, 16950, 3807, 7058, 6112, 2186, 19701, 2491, 17166, 308, 2457, 11537, 19665, 14736, 80, 19186, 18303, 8676, 9734, 17115, 2248, 196, 11190, 17982, 8154, 13043, 3348, 1992, 999, 14350, 19798, 8164, 16247, 14313, 781, 5778, 16772, 8998, 5911, 15784, 15705, 19667, 4954, 19537, 1539, 15771, 16418, 12536, 17080, 19513, 17263, 17117, 16476, 12494, 4104, 9943, 622, 15125, 1086, 3367, 5663, 6603, 3470, 2198, 4603, 6686, 19444, 13898, 16210, 10055, 16303, 6824, 10348, 9818, 5562, 12841, 8800, 12280, 11247, 17058, 2209, 18444, 16049, 17016, 14917, 18690, 18082, 16112, 5651, 1349, 8808, 13828, 13187, 3913, 3043, 1534, 17961, 8561, 16006, 17047, 61, 17576, 6623, 3636, 15386, 7918, 18783, 2032, 8853, 3312, 17763, 10831, 4481, 4812, 17223, 19867, 16691, 8068, 19130, 12242, 18053, 7541, 7098, 2506, 8773, 17003, 14217, 631, 13875, 3916, 16360, 7818, 14494, 2882, 10122, 11169, 18453, 19975, 14165, 15774, 18677, 4054, 212, 17822, 17922, 15492, 12107, 17893, 8934, 16391, 4743, 7344, 17731, 18186, 3940, 14875, 1846.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი**

განცხადებანი

ქუთაისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა 1905 წლის ივლისის ოციდან ტფილისში მუდმივად იცხოვრებს ამა ბანკის დირექტორი, დამფასებელ კომისიის წევრი და მამულების გამგე.

ყოველისავე საქმის წარმოება ტფილისის გუბერნიაში სოფლის და ქალაქების დაგირავებულ, თუ დასაგირავებელ მამულების შესახებ, სახელდობრ: სესხის გაცემის თხოვნების მიღება, დოკუმენტების განხილვა და წესიერად გამოწყობა, დაფასება მამულებისა, ანგარიშის გასწორება გამგეობისაგან სესხის გადაწყვეტის შემდეგ, სავალდებულო გადასახადების მსესხებელთაგან მიღება, ვადამდის სესხის მოსპობა, ჩვეულებრივი საჯარო ვაჭრობა იმ მამულებზედ, რომლის სავალდებულო გადასახადები არ იქმნება შემოტანილი, ბანკის მამულების მართვა-გამგეობა, მათი იჯარის გაცემის და გაყიდვის თაობაზედ მოლაპარაკება და დამტკიცება მყიდველის სახელზედ, მოწყობილი იქნება ტფილისს, ქუთაისის ბანკის დირექტორის ე. ნ. აბულაძის სადგომზედ, ოლღას ქუჩაზე № 4/3, კნეინა დიასამიძის სახლში. ტელეფონი № 445. (წ.

სკოლა

ჭრისა და კერვისა

და სხვა და სხვა ხელსაქმეებისა. აქვე ვიღებთ როგორც დიდების ისე პატარაების კაბებს და თეთრეულს. ალექსანდროვის ქ. № 13

(3—1) დები კაპანაძეები

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო

რომელიც იმყოფება მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო დედათა და თვალ ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდები სენით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი სავადმყოფოში შინაგანი, და წამლობით 1 მანეთიდან 3-მდე.



1865 მოსკოვი. 1870 პეტერბურგი. 1882 მოსკოვი. 1896 ნიჟნი-ნოვგოროდი.

კალოშებისა

და რეზინის სხვა საქონლისათვის

უდიდესი ჯილდო

(Grand prix)

პარიზის გამოფენაზე

მიენიჭა რუსეთში მხოლოდ ამხანაგობას

რუსეთ-ამერიკის

რეზინის მანუფაქტურისას

ს.-პეტერბურგში,

დაარსებულს 1860 წელს

რეზინის კალოშების ყიდვის დროს სთხოვენ ყურადღება მიაქციონ კალოშის ძირზე ნიშანს, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860" და სიტყვას.

„С.-Петербургъ"

წითელ სამკუთხში (ფაბრიკის ნიშანია).

ნარდად ვაჭრობას აწარმოებს სავაჭრო სახლი

„ლეოპოლდ ნეიშელლერი"

პეტერბურგს, მოსკოვს, რიგას, ეკატერინბურგს, დონის როსტოვს, ხარკოვს, ირკუტსკს, ტაშკენტს და ტფილისში.

ბუხჰალტერი-სპეციალისტი

(წელიწადი მესამე)

ამზადებს წელს ბევრად ვრცელ პროგრამით როგორც ვაჟებს, ისე ქალებს, თეორიულად და პრაქტიკულად, 1) ორმაგ იტალიანურ და მარტივ ბუხჰალტერიასა, 2) საზოგადო სავაჭროსა, 3) ბანკისას 4) კომერციულ არითმეტიკასა (საშუალო კომერც. სასწ. კურსით), 5) ფინანსიურ გამოანგარიშებასა, 6) არითმეტიკას საანგარიშო ჩოთქით, 7) კომერციულ კორესპონდენციასა, 8) ვაჭრობის ისტორიასა, 9) ვაჭრობის უფლებასა და ვექსილის კანონებსა.

(ბანკის ბუხჰალტერია და ვაჭრობის ისტორია მსურველთათვის).

სწავლა ყოველ დღე, საღამოს 5-დან 7 საათამდე. სწავლა ოთხ თვეს გასტანს. სწავლის გათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ. ფასი მთელი კურსისა 60 მანათი. სწავლა დაიწყება ენკენისთვის 10-ს 1905 წ.

ადრესი: ტფილისი, **ალ. ბ. ხაათაშვილს**, მეორე თუმანოვის ქუჩა, სახლი 17 (კუკიაში), მე-9 ნაწილში. პირადად მოსალაპარაკებლად ყოველ დღე, საღამოს 4-დან 8 ს-დის, კვირა-უქმეობით კი—დილის 9-დან 2 საათამდის.

მსმენელთ წელს გავაცნობ აგრეთვე სხვა საბუხჰალტერიო სისტემებსაც.

ვამზადებ ზემო-აღნიშნულ საგნებში აგრეთვე იმათ, რომელთაც საღამოს 7-დან 8 საათამდის შეეძლებათ სწავლა და, ამასთანავე, თუ ბუხჰალტერიის შესასწავლად დასჭირდებათ, საზოგადო არითმეტიკასა და რუსულ ენაშიაც. სწავლა გასტანს რვა თვეს. სწავლის გათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ.

პროგრამა კურსებისა მსურველთ ეძლევათ და ეგზავნებათ უფასოდ.

(14—15) ალ. ბ. ხაათაშვილი.

ბრიტვინ

საშუალება, რომლითაც შეიძლება თმის გაცვენა უმტკივნეულოდ და მსწრაფლად; ერთი დიუჟინი გაგზავნით ღირს 3 მანათად.

დუხები, ფერ-უმარილი და სხვა საპარფიუმერიო საქონელი უმაღლეს ხარისხისა.

Косметическая и парфюмерная фабрика С. И. СТРЫОНОВА въ Москвѣ, Ильинка, уголъ Игнатьевскаго и Грузинскаго пер., д. № 3.

პრეისკურანტის გამოგზავნა შეიძლება უფასოდ დაუყოვნებლივ. (მტც. 3—1)

Состоящіе въ вѣдѣніи министерства финансовъ

БУХГАЛТИРСКІЕ КУРСЫ

Н. В. Абраамяна, въ Тифлисѣ,

автора „Руководства торговой, фабричной и нефтепромышленной бухгалтерій", учатъ и подготовляютъ лицъ обоего пола въ 4 мѣсяца, путемъ практики бухгалтеріи и др. коммерч. специальн. предметамъ.

Преподавателями на курсахъ приглашены лица съ университетскимъ образованіемъ и специалисты своего дѣла, утвержденные учебнымъ отдѣломъ министерства финансовъ, а также по каллиграфіи каллиграфъ-художникъ.

Пріемъ съ 5 до 7 ч. вечера. Начало занятій съ 15-го сентября 1905 г. ежедневно по послѣ обѣдамъ, съ платою по 60 р. за полный курсъ. По окончаніи выдается установленный аттестатъ, разрѣшенный г. министромъ финансовъ.

Независимо отъ сего, при курсахъ же открыты для лицъ малоподготовленныхъ особые пополнительные и повторительные курсы рускаго языка и ариѳметики. Желающихъ прошу обращаться письменно или лично къ учредителю курсовъ въ Тифлисѣ: Николаевская, 46, Телефонъ 744. Правила и программы высылаются безплатно. (10—4)

Доз. ценз. Тифлисъ, 7 Сентября 1905 г.

Печ. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამხ—სა